საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყველა უკერისიბაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი. 2017 წ. №203 (8340), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თამამად ვისაუბროთ სიმართლეზე!

ბიძინა ივანიშვილი არ იმსახურებს ამას...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის კომპანიას თბილისის ცენტრში — პუშკინის სკვერსა და თაბორის მთაზე მიწის ნაკვეთები 1 ლარად გადაეცემა.

პრემიერ-მინისტრმა პარკინგის აშენების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი საპარკინგე ადგილის მშენებლობას პრაქტიკულად არაკომერციული მიზნებით იწყებს.

„როდესაც თბილისის მერია სანთლით ეძებს ადამიანებს, რომლებიც თბილისში 10 პარკინგს ააშენებენ, იმიტომ, რომ არ არის პარკინგები თბილისში და, სამწუხაროდ, დღეს რადგანაც პარკინგი ვერ გახდა ბიზნესი, იმიტომ, რომ პარკინგის ღირებულება არ არის ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს დღეს მსოფლიოს წამყვან ქალაქებში, ამიტომ პარკინგი ძალიან გვჭირდება.

„ეს ადამიანი, პრაქტიკულად არაკომერციულ საწყისებზე აშენებს ორჯერ მეტ პარკინგს, ვიდრე ეს სჭირდება იმ სასტუმროს, რომელიც იქ შენდება... და კიდევ, ბოტანიკური ბაღის მითვისება უნდაო, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, არა ბოტანიკურ ბაღში, საჭირო არის სულ რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრის დამატება იმისთვის, რომ ეს გახრიოკებული ფერდობები, რომელიც არის ბოტანიკური ბაღიდან წავკისამდე, სადაც არის გათვალისწინებული ამ პროექტის მშენებლობა, გამწვანდეს და მოირწყას და ირიგაცია მოხდეს ამ ახალი ტერიტორიის,“ — ამბობს გიორგი კვირიკაშვილი.

მისი ინფორმაციით, იგეგმება მილიარდ ლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელება. პრემიერმა თანაგუნდელებს მიმართა **„თამამად ისაუბრონ სიმართლეზე“**, — კვირიკაშვილი ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ იმსახურებს იმას, რასაც აბრალებენ...

პეტრე დიდი — ბაგრატიონთა შთამომავალი?

6-7

შენ შერხევა ხარ მანდილისა დიდი თამარის...

ქეთი მელუა

ლას-ვეგასი: თავდამსხმელი მილიონერი აღმოჩნდა

12

კახა კალაძე: ნაციონალების მთავარი იარაღი დიდი ტყუილი და მიზანმიმართული დეზინფორმაციაა!

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე პუშკინის სკვერის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობასთან დაკავშირებით პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან გამოთქმულ ბრალდებებს მიზანმიმართულ დეზინფორმაციას უწოდებს.

„მინდა, გამოვეხმაურო იმ უსამართლო განცხადებებს დ არასწორ ინფორმაციას, რომელსაც ე.წ. ოპოზიცია, კონკრეტულად, ორივე ნაციონალური მოძრაობა ავრცელებს, რომ თითქოს პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტოსადგომი საჩუქრად გადაეცა ბიძინა ივანიშვილს. ეს არის ძალიან დიდი ტყუილი და მიზანმიმართული დეზინფორმაცია“, — აცხადებს დედაქალაქის მერობის კანდიდატი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეომიმართვაში.

კახა კალაძის განმარტებით, აღნიშნული ტერიტორია საინვესტიციო ვალდებულებებით შესაბამის კომპანიას გადაეცა, რომელმაც უნდა მოაწყოს მიწისქვეშა პარკინგი, რაშიც მილიონ ლარზე მეტს დახარჯავს.

მისივე თქმით, **დაახლოებით, ათი ლოკაციაა ქალაქში მონიშნული,** სადაც ავტოსადგომები უნდა განთავსდეს და ამათგან **ერთ-ერთი სწორედ პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაა.** მერობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო მიწისქვეშა პარკინგი იმ დანარჩენ ცხრა პარკინგთან ერთად, რომლის გაკეთებაც მომდევნო წლებში იგეგმება.

„ერთი მხრივ, ოპოზიციური პარტიები აღნიშნავენ, რომ ქალაქში პარკინგის სერიოზული პრობლემაა, მეორე მხრივ კი, ეწინააღმდეგებიან მსგავსი პროექტების განხორციელებას. მიზეზი მარტივია — მიზანმიმართულად მიმდინარეობს ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაცია, იმიტომ, რომ ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც ძალიან დიდ ინვესტიციებს ახორციელებს ქვეყანაში“, — განაცხადა კალაძემ.

ვიდეომიმართავში თბილისის **მერობის კანდიდატმა „პანორამა თბილისისა“ და თაბორის მთაზე მიმდინარე პროექტების შესახებაც ისაუბრა.** მისი თქმით, **„პანორამა თბილისის“ მშენებლობა, რაზეც 400 მილიონი ამერიკული დოლარი იხარჯება და 15 ათასამდე ადამიანია დასაქმებული, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და ეკონომიკური წინსვლისთვის.**

კალაძემ ასევე დეზინფორმაცია უწოდა თაბორის მთაზე ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მიწების მითვისების შესახებ ოპონენტების კიდევ ერთ ბრალდებას. როგორც მერობის კანდიდატმა აღნიშნა, **თაბორის მთაზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს სარწყავი სისტემის მოწყობა მწვანე ნარგავებისთვის, ხოლო იმ პროექტის განხორციელებით, რომელიც ამ ტერიტორიაზე იგეგმება და გულისხმობს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას, ასევე ულამაზესი მწვანე სივრცის შექმნას, თაბორის მთა გახდება ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი ევროპაში, სადაც თითოეულ თბილისელს შესაძლებლობა ექნება, ავიდეს და განიტვირთოს.**

„ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს ქალაქის წინსვლას და განვითარებას. ჩვენ ეკოლოგიასაც მოვაწესრიგებთ, ტრანსპორტსაც მოვაწესრიგებთ, შეიქმნება საპარკინგე სივრცეები. ის ძალიან მძიმე, არსებული ვითარება პარკირებასთან დაკავშირებით, რომელიც წინა ხელისუფლების მმართველობის დროს შემოვიდა და კაბალური ხელშეკრულება იქნა გაფორმებული, ჩემი მერობის პირობებში სამართლებრივად დასრულდება. ასევე დავასრულებთ მიდგომებს, რომ მიზანმიმართულად ვრცელდებოდეს დეზინფორმაციები და პასუხის გამცემიც არ იყოს არავინ, ეს ძალიან საწყენია. არავის არ მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ იცრუოს, მოიტყუოს და მოსახლეობაში შეიყვანოს შეცდომაში. მართლა არ ბნელა ქვეყანაში, არ არის მხოლოდ „პარტია რუსთავი-2“, არის სხვა შესაძლებლობებიც, არსებობს ინტერნეტი და სწორი ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ზამთრის ტურისტული სეზონისთვის, დიდწილად, მზად ვართ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ტურისტული სეზონი უპრეცედენტოდ გრძელია და პრაქტიკულად არ გაჩერებულა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ქვეყანამ ზაფხულის მომავალი სეზონისთვის დღესვე უნდა დაიწყოს სამზადისი.

„ჩვენ აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ ის შენიშვნები, სისუსტეები, რა მიმართულებით მოგვიწევს აქცენტების გაკეთება, ზამთრის სეზონისთვის ჩვენ პრინციპში დიდწილად მზად ვართ, მაგრამ მომავალი ზაფხულის სეზონისთვის დღესვე არის დასაწყები სამზადისი, თუ დავუშვათ, სად გვაქვს ნაკლოვანებები, რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. ეს არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურა, ეს არის მომსახურების საკითხები, ეს არის ტრანსპორტის საკითხი, ეს არის ძალიან ბევრი ისეთი წვრილმანი, რომელიც არ არის წვრილმანი, ეს არის ექსკურსიამძღოლების კვალიფიკაციის საკითხი და ასე შემდეგ. მე ამ დღეების განმავლობაში შევისწავლე ის შენიშვნები და კომენტარები, რომლის სისტემატიზაციაც ჩვენ გავაკეთეთ. ძალიან ბევრი ისეთი რამ დავინახეთ, რაც აუცილებლად ახლავე არის დასაწყები, რათა მომავალი წლისთვის კიდევ უფრო მომზადებული შევხვდეთ. ვფიქრობ, ტურიზმის ზრდა გვექნება როგორც ზამთარში, ასევე მომავალ წელსაც 2018-ში და დღესვე გვაქვს დასაწყები. ამიტომ ამ შემადგენლობით შევიკრიბეთ. პრინციპში, ყველა ის მინისტრი, რომელიც დღეს ესწრება, არის უშუალოდ ჩართული ტურიზმში, დაწყებული ეკონომიკის სამინისტრო, როგორც მთავარი, ასევე ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, ასევე ფინანსები დაგვჭირდება, რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ ინფრასტრუქტურა გავაუმჯობესოთ. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისი სავსეა ტურისტებით. ბუნებრივია, ზაფხულის შემდეგ პატარა კლება მოხდა, მაგრამ შარშანდელ შემოდგომასთან შედარებით, გაცილებით ბევრი ტურისტი გვყავს. ახლა ჩვენ არამარტო თბილისში, არამედ ყველა მიმართულებაზე უნდა ვიმუშაოთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გავაჩეროთ ინვესტიცია, გადავკეტოთ ქალაქი, რადგან ხუთი ნევროზიანი პოლიტიკოსი ყვირის?

„გაკოტრებული პოლიტიკოსები ცდილობენ, რაღაცით მიიპყრონ ყურადღება და მოიგონეს უსინდისო ტყუილები“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტურიზმის თემაზე გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს სჭირდება ინვესტიცია და არ არის სწორი, რომ რადგან საქმე ბიძინა ივანიშვილს ეხება, არ ამოვიღოთ ხმა და არ დავიცვათ ინვესტიცია.

„680 მილიონ დოლარზე მეტია მთლიანად ინვესტიცია, ეს მილიარდ-ნახევარ ლარზე მეტია და რა ვქნათ, გავაჩეროთ ინვესტიცია, გადავკეტოთ ქალაქი, რადგან ხუთი ნევროზიანი პოლიტიკოსი გამოდის, აბრიალებს თვალებს და ყვირის.

ამ ინვესტიციებით 20 ათასი ადამიანი საქმდება თბილისში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში.

ჯერ იყო და, თითქოს ვიყავით პრორუსები, ვერავინ დააჯერეს, რადგან ყველაზე დიდი წარმატება, რაც ამ მთავრობას ჰქონდა, არის პროდასავლურ მიმართულებაზე, ასოცირების შეთანხმებით დაწყებული თავისუფალი ვაჭრობით და შემდეგ ვიზალიბერალიზაციით დამთავრებული ეს წარმატება გრძელდება. აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება გვაქვს და ამ ქვეყანასთან ურთიერთობა ასეთი ინტენსიური არასოდეს ყოფილა. დღეს გაკოტრდნენ და ვეღარაფერი გაუკეთებიათ, რაღაცით ხომ უნდა მიიპყრონ ყურადღება და მოიგონეს ეს ორი უსინდისო ტყუილი, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა ამას ხედავს. ჩვენი გუნდის წევრები, როდესაც შენ მართალი ხარ, ცოტა უფრო თამამად არის საჭირო ამ სიმართლის თქმა. არავის უნდა მოერიდოს, რომ ვთქვათ, რაზეა საუბარი. საუბარია მილიარდ ლარზე მეტ ინვესტიციაზე. ვფიქრობ, ჩვენ ინვესტორები გვჭირდება და რაკი ბიძინა ივანიშვილია, არ ამოვიღოთ ხმა და არ დავიცვათ ინვესტიცია, მე მგონი, ეს არასწორია“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მიხეილ ჯანელიძე: როგორც გერმანია გაერთიანდა 3 ოქტომბერს 27 წლის წინათ, ასევე საქართველო შეძლებს მშვიდობიანი გზით გაერთიანებას

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ გერმანელ ხალხს გერმანიის გაერთიანების დღე მიულოცა. მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ამ დღის აღსანიშნავად საქართველოში გერმანიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, სადაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

მიხეილ ჯანელიძემ დადებითად შეაფასა გერმანია-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების დინამიკა და ორი ქვეყნის პარტნიორობის მნიშვნელობაზე ისაუბრა: **„ჩვენთვის დიდი პატივია მივულოცოთ ჩვენს გერმანელ მეგობრებს ეს მნიშვნელოვანი დღე და ამასთან ერთად ხაზი გავუსვათ ქართულ-გერმანულ მეგობრობას და იმ მტკიცე ურთიერთობებს, რომელიც უკვე საუკუნეებია, ჩვენს შორის ვითარდება. წელს ჩვენ აღვნიშნავთ მეგობრობის ორას წელს. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ერთად ძალიან ბევრი პროცესი გავიარეთ და გერმანია მუდამ იდგა დამოუკიდებელი, სუვერენული, თავისუფალი, საქართველოს გვერდით. გერმანია დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იყო ერთ-ერთი უმთავრესი დონორი და მხარდამჭერი საქართველოს დემოკრატიული განვითარების და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების, და აგრძელებს ამ მხარდაჭერას. ძალიან მიშვნელოვანია გერმანიასთან არსებული მჭიდრო თანამშრომლობა და მაღალი დონის პოლიტიკური კავშირები, რის კიდევ ერთ კარგ მაგალითს წარმოადგენს გასულ კვირას გერმანიაში ჩატარებული არჩევნებიდან მოკლე დროში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი გერმანიაში და შეხვედრა გერმანიის ფედერალურ კანცლერთან, სადაც განვიხილეთ სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. დარწმუნებული ვართ, რომ გერმანია-საქართველოს კავშირი წარმატებული იქნება მომავალშიც და სიკეთის მომტანი როგორც ჩვენი ორი ქვეყნისთვის, ისე მთლიანად ევროპისთვის“** — განაცხადა მინისტრმა.

მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხაზი გაუსვა გერმანიის გაეთიანების პოლიტიკურ და სიმბოლურ მნიშვნელობას საქართველოსთვის: **„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისევე როგორც გერმანია გაერთიანდა 3 ოქტომბერს 27 წლის წინათ, ასევე საქართველო შეძლებს მშვიდობიანი გზით გაერთიანებას, ისეთი პარტნიორების მხარდაჭერით, როგორიც გერმანიაა და ამ გზით ევროპის უსაფრთხოებისა და განვითარების ხელშეწყობას“,** — დასძინა ჯანელიძემ.

ორმხრივ ურთიერთობებზე საუბრისას მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და პირველმა გახსნა საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა. მისი როლი დღესაც უმნიშვნელოვანესია საქართველოს განვითარების და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი გაუარესდა?

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ კვლევას, რომლითაც საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის მაჩვენებელი 24 პუნქტით არის გაუარესებული, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ეხმაურება. ნინო გვენეტაძეს აინტერესებს, მკვლევარებმა ეს შედეგები რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით მიიღეს.

„სხვადასხვა ინდიკატორი და გარემოება განაპირობებს ამ მონაცემების გაჟღერებას. ჩვენთვის საყურადღებოა ეს მონაცემი, თუმცა მუშაობა სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაზე მიმდინარეობს და აქტიურად გრძელდება. დღესაც იმ ნდობის ასამაღლებლად საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე მუშაობა ამის დასტურია. კლების ტენდენციასთან დაკავშირებით უფრო ღრმა კვლევის ჩატარებაა საჭირო, რა მონაცემებზე დაყრდნობით იქნა ეს მონაცემი მიღებული, თუმცა პატივს ვცემთ და ვიზიარებთ კვლევის შედეგებს. ამ მიმართულებით მეტი ინფორმაცია გვჭირდება, რომ გითხრათ, რა ტენდენციებია,“ — განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 10 მილიონით იზრდება

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 10 მილიონი ლარით იზრდება, — ამის შესახებ განცხადება თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გააკეთა. მინისტრის განცხადებით, ნატოს სტანდარტია, რომ თითოეულმა ქვეყანამ არა მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ორი პროცენტი გამოყოს თავდაცვის ბიუჯეტისთვის, არამედ შესყიდვებიც აწარმოოს გონივრულად, კერძოდ, შესაბამისი შეიარაღების შესყიდვის თვალსაზრისით. იზორიას ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ნატოს სტანდარტების შესაბამისად, შეიარაღების შესყიდვების ნაწილში დანახარჯების გაზრდას გეგმავს.

არსებობს გარემოებები, რომლებიც სააკაშვილის ექსტრადიციას უშლის ხელს

უკრაინის გენერალური პროკურორის იური ლუცენკოს განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის საქართველოსთვის გადაცემის საკითხზე უკრაინის გენერალური პროკურატურის საექსტრადიციო შემოწმებაკიდევ რამდენიმე კვირა გაგრძელდება.

„საექსტრადიციო შემოწმებამ უნდა დაადგინოს, ნამდვილად ედება თუ არა საქართველოში სააკაშვილს ბრალი მძიმე დანაშაულების ჩადენაში, რომლებიც უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსშიც არსებობს. ნათელია, რომ ამ კითხვაზე პასუხი იქნება დადებითი.



მეორე — არსებობს თუ არა გარემოებები, რომლებიც სააკაშვილის ექსტრადიციას უშლის ხელს. წინასწარი შეფასებით, მე ვთვლი, რომ ასეთი გარემოებები არსებობს. უკრაინის საზღვრის უკანონო გადმოკვეთის შემდეგ სააკაშვილმა საბუთები შეიტანა შსს-ს საიმიგრაციო სამსახურში, რაც, ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით, მის ექსტრადიციას აფერხებს“, — განაცხადა ლუცენკომ.

ჩიტირეკის რეკვიემი: სააკაშვილმა უკრაინაში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა

ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა სააკაშვილმა უკრაინის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. სააკაშვილის ადვოკატის მარკიან გალა ბალას განცხადებით, სააკაშვილი ითხოვს მიენიჭოს მას მოქალაქის სტატუსი, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. ამ სტატუსის საყოფაცხოვრებო სახელი კი პოლიტიკური თავშესაფარია.

ზალიკოდან ნინას ბარძაყებამდე...

როგორც ამ ერთი კვირის წინათ მოულოდნელად აიმღვრა ამინდი (სიცხე სიცივემ შეცვალა), ისე წამდაუწუმ იცვლება პოლიტიკური ვითარება არჩევნებისწინა საქართველოში და კრაზანების ბუდეს ემსგავსება.

იმ დღეს, როგორ თუ ბიძინა ივანიშვილის თხოვნით თაბორის მთაზე 5000 კვ.მეტრ ფართობს და პუშკინის სკვერის მიმდებარედ 1900 კვ. მეტრს ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის სტატუსი შეუცვალეთო, თბილისის საკრებულოს ოპოზიცია დაესხა თავს (თუმცა ერთობ შეუსაბამოა ოპოზიცია უწოდო გააფთრებულ ბრბოს, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს თელავს და არბევს, ღრიალებს, უწმაწურობას აფრქვევს). ამ თავდასხმის გმირად იქცა ცნობილი „პარტიზანი მებაღე“, ჰოლანდია-დანიაში სექსუალურ პრაქტიკაგავლილი ნატა ფერაძე. მან ევროპაში სხვა სიკეთესთან ერთად ნასწავლი ცხრასართულიანი მუნჯური გინება აჯახა საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს: მომუჭული ხელის შემართული შუა თითი უჩვენა და გული მოუკლა.

ეს ყველაფერი კი მას შემდეგ განვითარდა, რაც მერობის კანდიდატებმა თავიანთი სტატუსკვო წარმოადგინეს და მკერდზე მუშტები დაიბრაგუნეს.

ეს ბრაგუნი ერთობ სინქრონულად წარიმართა. ყველა კანდიდატს ერთი მიზანი აქვს: „დაიბრუნოს თბილისი. ოღონდ მართლა ბრძენი უნდა იყო, რომ მიხვდე, საიდან, ვისგან და რა მიზნით სურთ თბილის-ქალაქის „დაბრუნება“ ამ ჩემანალებს. ეს სრულიად გასაგები იყო, როცა დავით აღმაშენებელი არაბებს ჩეხავდა სეიდაბადთან, როცა ჯალალედინს თავს აკლავდნენ ძმები ახალციხელები, როცა თურქებისა და სპარსელების სისხლით ღებავდა ნარიყალის კედლებს სიმონ პირველი, მაგრამ ვისგან „იბრუნებს“ დღეს თბილისს მართული ტიკინა ზაალ უდუმაშვილი, ღორმუცელა გიორგი ახვლედიანი ან აკანკალებული გუგავა – მართლა რომ გავიმარჯვო, რა მეშველებაო...

დასკვნა ერთადერთია: თბილისის დაბრუნება „ოცნებისგან“ – ნაცებისთვის! მოდი და მხარი დაუჭირე!

ამ, ცოტა არ იყოს ბუნდოვანი დაპირების კორიანტელში, აშკარად განსხვავებულად გაისმის ორი ხმა – „ქართული ოცნების“ კანდიდატის კახა კალაძისა და დამოუკიდებელი კანდიდატის ალეკო ელისაშვილის. უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ „ოცნების“ კაცი კახა კალაძე თავისი პროგრამით ერთობ გულმისავალ შთაბეჭდილებას ახდენს, გჯერა იმისა, რასაც ეს კაცი ამბობს, რასაც მისი პირით თბილისელებს პირდება მმართველი პარტია და არსებული ხელისუფლება. მასში „რევოლუციური“, მყვირალა არაფერია, სამაგიეროდ, არის სტაბილურობა და საიმედოობა.

სწორედ ამიტომაა მთელი ოპოზიციური სპექტრის ბოღმიანი ძალისხმევა კალაძის წინააღმდეგ მიმართული, ამიტომ დგანან აღგზნებული მოწინააღმდეგეები კოსტავას 14-ში, ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში არსებულ კალაძის საარჩევნო შტაბის წინ და სასტვენებითა და საპიპინოებით აყრუებენ იქაურობას. ეს რომ ზალიკას ან ელიჩკას გაუკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, ხომ გადადგამენ იქაურობას ნაციონალები ადამიანის უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევის გამო (და, კაცმა რომ თქვას, სწორიც იქნებოდნენ!

დამოუკიდებელი ალეკო ელისაშვილი კი მართლაც დამოუკიდებლობით გამოირჩევა, მისი „ორთოდოქსული“ განცალკევებულობა იმითაც დამტკიცდა, რომ მან უკვე დატოვა საკრებულო ივანიშვილის მხარდამჭერი გადაწყვეტილების საპროტესტოდ. მისი დაპირებები გულიდან მოდის, გულწრფელია, სუფთაა და გჯერა, რომ ხმათა სოლიდურ რაოდენობას დააგროვებს.

დანარჩენის ერთმანეთისგან გარჩევა ჭირს: ზალიკო, ელიკო, გუგავა, კუკავა... „პატრიოტთა ალიანსი“ „მთავრობის პასუხისმგებლობის“ საკითხს აყენებს და ყოველ კვირას საპროტესტო მსვლელობებს აკოწიწებს. ელენე ხოშტარია თბილისის შემოვლითი რკინიგზის იდეას იჩემებს და ქვეყანას შავი დედალივით გაკეთებას ჰპირდება, ნიკანორ მელია დაუღალავად დასუნსულებს და გაჭირვებულ ოჯახებს თვალში ნაცარს აყრის, ლეიბორისტი გუგავა ყველას იმედად დააბიჯებს დედამიწაზე და „კოზირად“ გარემოვაჭრეებს ირჩევს.

ერთი სიტყვით, მათი მწირი პროგრამები ისეა მოღიავებული, როგორც ნინა წკრიალაშვილის უკიდეგანოდ მოშიშვლებული ბარძაყები, რომლებსაც ეს არამკითხე ნინა დაუღალავად გვჩრის თვალში ტელევიზიით.

არადა, თბილისი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ყველაფერს თავის მობმა უნდა, ყველაფერს მზრუნველი ხელი სჭირდება. ისიც კი პრობლემად იქცა, რომ ბიჭები გვითხოვდებიან და გოგოებს ცოლები მოჰყავთ. თუ ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ლგბტ-ებმა პირველად სცადეს თბილისში მარშით გავლა, მთელი ქვეყანა დაიშოკა და გადარია, დღეს თითქოს მივეჩვიეთ ამ უმსგავსოებას... აღმოჩნდა, რომ ათასი ჯურის პედერასტი და ქალაბიჭა იმდენი გვყავს, გვერდს ვერ აუქცევ, რაც მთავარია, კესარიები თავს აღარ მალავენ, ძალაზე არიან. აი, ახლახან ტურფა ნიკო ჭავჭავაძე გაგვითხოვდა ანდორაში. აგერ, ფეისბუქზე ახალი „სახე“ ვიხილეთ, ვინმე გიორგი ქისტური ქალწულური უკანალით იწონებს თავს. გეშინოდეთ, 2018 წლის 17 მაისისა!

თბილისი ახალ მერს ელოდება, თბილისელები – დაწყნარებასა და მშვიდ ცხოვრებას.

მაგრამ სად არის მშვიდი ცხოვრება! ორშაბათს ნაცები თბილისის საკრებულოს მსგავსად მერიას დაესხნენ თავს – წივილ-კივილი, გინება, შიგნით შევარდნის ცდა, გზის გადაკეტვა... ბლუჩუნა ზალიკო უდუმაშვილმა შეუმჩნეველ, უთქმელად გატარებულ ოდინდელ ცხოვრებას სულ ცივი წყალი გადაასხა და ჩაიდანივით ორთქლავარდნილი ერთგულად ამოუდგა მხარში ყველა მაღვალაკობაში კუდმოჭრილ ნიკანორ მელიას, რომელსაც პოლიციასთან ბრძოლაში მელოტ თავზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი – ჩვენ არავის მივცემთ საკრებულოს დადგენილების აღსრულების უფლებასო. ისინი იჩემებენ ხელისუფლების გადაწყვეტილების ძალისმიერად შეჩერების, ღიად იგნორირების უფლებას!..

ორშაბათ საღამოსვე გიორგი გაბუნიას „რუსთავი-2“-ის სტუდიაში არჩევნების მონაწილე პარტიები ჰყავდა მიწვეული თავიანთი საარჩევნო პროგრამების წარმოსაჩენად. რა თქმა უნდა, მერიასთან მომხდარ ამბავზეც იყო ლაპარაკი – საკმაოდ მძაფრი! შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნაცების ძალისმიერი საარჩევნო პრაქტიკა ბევრ ოპოზიციურ პარტიას სრულიადაც არ მოსწონს (ან რა არის მოსაწონი!). ზოგიერთმა ნაცების მიმართ საკმაო აგრესიაც კი გამოიჩინა.

დასამახსოვრებელი იყო ბეჟან გუნავას საყვედური „ქართული ოცნების“ მიმართ: რაც დღეს უკულმართობა ხდება, ანუ ნაცების ყოველგვარ ზღვარს გადასული ქმედება, სულ თქვენი უხერხემლობის, გაუგებარი შემრიგებლური, „კოჰაბიტაციური“ პოლიტიკის, იმის შედეგია, რომ დამნაშავე ნაციონალური პარტია თავის დროზე ადგილზე არ მოსვით, თავზე უსვით ხელიო!

ვერაფერს იტყვი, კანონზომიერი საყვედურია!

ავირჩიოთ სწორად და გამიზნულად, ახალი შეცდომა – მტრისას!

სანდრო ალექსიძე

თბილისის მერია ლევან ხაბეიშვილთან დაკავშირებით შენობაში გადაღებულ ვიდეოს აქვეყნებს

თბილისის მერია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ნიკანორ მელიას მიერ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში გაჟღერებულ ბრალდებას ეხმაურება, თითქოსდა, პარტიის წევრ ლევან ხაბეიშვილს 2 ოქტომბერს თბილისის მერიასთან გამართული არასანქცირებული აქციის მიმდინარეობისას მერიის შენობაში ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ნიკანორ მელიას მიერ გაჟღერებული ბრალდება სრული სიცრუეა. თვალსაჩინოებისთვის და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ვაქვეყნებთ თბილისის მერიის პირველ სართულზე გადაღებულ სრულ ვიდეოჩანაწერს.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, ნუ შეიყვანენ საზოგადოებას შეცდომაში წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით და თავი შეიკავონ მიზანმიმართული ბრალდებებისგან, რაც მხოლოდ და მხოლოდ თბილისის მერიის საქმიანობის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული“, – ნათქვამია დედაქალაქის მერიის განცხადებაში.

ვინ აფინანსებს უსუფაშვილს!

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი თამარ კორძაია პარტიის ყოფილ ლიდერს და პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს კიდევ ერთხელ აკრიტიკებს. კორძაია უსუფაშვილის იმ წერილს იხსენებს, რომელიც მან პარტიის სამდივნოს გაუგზავნა და რომლის შემდეგაც უსუფაშვილმა პარტია დატოვა.

კორძაიას თქმით, უსუფაშვილს ამ თემაზე საუბარი აღარ სურდა. მისივე თქმით, ძალიან ბევრი ადამიანისთვის გაურკვეველი იყო, რატომ რჩებოდა პარტია ხელისუფლებაში და, ამავდროულად, როგორ აწარმოებდა ოპოზიციურ კამპანიას.

კორძაიას თქმით, თუ ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გავაანალიზებთ, ნამდვილად არსებობს იმის თქმით საფუძველი, რომ უსუფაშვილი ხელისუფლებისგან მართული ოპოზიციაა და ის ფაქტიც, რომ უსუფაშვილმა თბილისის მერობის კანდიდატი დაასახელა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. მისივე განცხადებით, ამას ემატება ისიც, რომ უსუფაშვილის „შენების“ მოძრაობას ფინანსური რესურსები აქვს, რაც რესპუბლიკურ პარტიაში მისი ყოფნის დროს ვერ იქნა მოძიებული.

„შენების მოძრაობას აქვს ოფისები, პარტიულ აქტივს – ხელფასები, ამ ყველაფერს ფული სჭირება ხომ. მათ ეს ფული ახლა გაუჩნდათ, როდესაც რესპუბლიკურ პარტიაში იყვნენ ეს ფული არ ჰქონდათ, შესაბამისად, გვაქვს ეჭვები ამასთან დაკავშირებით,“

– აცხადებს კორძაია „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში.

ნაციონალი „ჯოჯოხეთის მოციქული“ გვარამია პარტიებს გაეგუტა!

გადაცემა არჩევანში მომხდარი ინციდენტის გამო, რომლის დროსაც ლეიბორისტებმა, „პატრიოტთა ალიანსმა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრებმა გადაცემა დატოვეს, ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში ეხმაურება და აცხადებს, რომ ამ პარტიის წარმომადგენლებს დებატებში აღარ ნიიწვევს.

„გადაცემა „არჩევანი“ ყოველგვარი რელევანტური არგუმენტაციის გარეშე, შეთანხმებულად დატოვეს „ლეიბორისტულმა პარტიამ“, „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ და „პატრიოტთა ალიანსმა“. აღნიშნული ქმედებით, მათ უპატივცემლობა გამოხატეს გადაცემის, მისი წამყვანის, მთელი არხის და სტუდიაში დარჩენილი მათი კოლეგების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, არხის გადაწყვეტილებით, არცერთი ზემოაღნიშნული პარტიის კანდიდატი მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ არც ერთ დებატებში აღარ დაიშვება.“ – წერს გვარამია.

როგორი იქნება მწვანე კონცხის მომავალი?

მისი 49-წლიანი იჯარით უსასყიდლოდ გასხვისება იგეგმება

ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, მუნიციპალური საკუთრება, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია, აჭარის მთავრობას გადაეცა, საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ სასამართლოში გაასაჩივრებს. ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი კირთაძე მიიჩნევს, რომ ბათუმის თვითმმართველობამ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ქალაქის კუთვნილი გაუსხვისებელი ტერიტორია გასხვისების მიზნით აჭარის მთავრობას გადასცა, ხოლო ამ გადაწყვეტილებას, 17-ის ნაცვლად, რასაც თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს, მხოლოდ 11-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

„დარღვეულია საქართველოს კონსტიტუცია, კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ასევე საკრებულოს რეგლამენტი. ბათუმის საკრებულომ, კანონმდებლობის დარღვევით, მიწები აჩუქა ბიძინა ივანიშვილს, ნაწილი მანამდე აჩუქა, ნაწილს კი, რომლის გასხვისებაც, კანონის მიხედვით, ცალსახად არ შეიძლება, 49-წლიანი იჯარით სრულიად უსასყიდლოდ გადასცემს. 17 დეპუტატის მხარდაჭერა იყო საჭირო და ეს გადაწყვეტილება 11 დეპუტატის ხმით მიიღო“, – ამბობს გიორგი კირთაძე, ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

მისივე თქმით, კომპანია, რომელმაც მწვანე კონცხზე, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, 1 300 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთის შეძენა და 6 500 კვ/მეტრი ფართობის პლაჟის უსასყიდლოდ, 49-წლიანი იჯარით, გადაცემა მოითხოვა, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება. ამ მუნიციპალური ქონების აჭარის მთავრობისთვის გასასხვისებლად გადაცემას დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იმ მოტივით, რომ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა სირაბიძემ განაცხადა, ბათუმის თვითმმართველობა ვერ უვლის ქალაქის კუთვნილებაში არსებულ ქონებას:

„ქალაქის ტერიტორიები გაფართოვდა. პლაჟებს სათანადო ყურადღება ვერ ექცევა. კონკრეტულად ამ ფირმამ აიღო ვალდებულება, რომ ეს პლაჟები იქნება ყოველთვის მოწესრიგებული, იქნება ახალი ინვესტიციები ჩადებული“.

მწვანე კონცხის ტერიტორიის ნაწილის გასხვისებას და პლაჟის 49-წლიანი იჯარით, უსასყიდლოდ ინვესტორისთვის გადაცემას დაეთანხმა მწვანე კონცხი-მახინჯაურის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში ჯაბა ბერიძე: **„მახინჯაური წლების განმავლობაში გაჩანაგებული იყო, სამწუხაროდ, ტურისტული ობიექტები კი – დანგრეული... მივესალმები ყველანაირ ინვესტიციას, რაც მას განავითარებს“.**

მწვანე კონცხზე ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიითა და ზღვის სანაპიროთი დაინტერესებული ინვესტორი კომპანია შპს „ბიზნესდეველოპმენტია“, რომელიც მწვანე კონცხზე უკვე ფლობს მიწის ნაკვეთს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილ შენობას, სადაც სასტუმრო კომპლექსი შენდება. ამჯერად საინვესტიციო კომპანია ბოტანიკურ ბაღთან მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასა და პლაჟის 49-წლიანი იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას ითხოვს. ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის თემურ ყურაშვილისთვის საჯარო სივრცის პირდაპირი წესით, უპირობოდ გასხვისება მიუღებელია:

„უნდა გამოცხადებულიყო აუქციონი რამდენჯერმე, ხოლო, თუ აუქციონი ჩავარდებოდა, შემდეგ შეგვეძლო მიგვეცა პირდაპირი მიყიდვის წესით ინვესტორისთვის. მე ვერ მივიღე პასუხი კითხვაზე, ამ 6 500 კვ/მ ფართობის პლაჟზე, მას შემდეგ, რაც ტერიტორია ინვესტორს გადაეცემა, ექნებათ თუ არა მოქლაქეებს იქ შესვლის უფლება“.

რა პირობებს უყენებს აჭარის მთავრობა ინვესტორს მწვანე კონცხის ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში და შენარჩუნდება თუ არა საჯარო სივრცე ზღვის სანაპიროზე? აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ამ კითხვებზე ჯერჯერობით პასუხი არა აქვთ. აცხადებენ, რომ ტერიტორია ჯერ გასხვისებული არ არის და ამ დროისთვის სახელშეკრულებო დოკუმენტაციაზე მუშაობა მიმდინარეობს, ხოლო იმას, თუ რა პირობები იქნება მასში განსაზღვრული, მუშაობის დასრულების შემდეგ გაასაჯაროვებენ:

„ხელშეკრულებაში განისაზღვრება ყველა მნიშვნელოვანი პირობა, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირებასთან. ამ ეტაპზე გამოხატულია კომპანიის ინტერესი და ნება, რაც გულისხმობს ბოტანიკური ბაღის ქვედა და ზედა შესასვლელების საბაგირო გზებით როგორც ერთმანეთთან, ასევე პლაჟთან დაკავშირებას, ღია საცურაო აუზისა და კაფე-ბარების მოწყობას. სხვა დეტალები – რა ვადებში მოხდება ამ პროექტის განხორციელება, როგორ იქნება საზოგადოებრივი სივრცეები განაწილებული, ეს ყველაფერი აისახება მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში“, ამბობს გელა ცინცაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელშეკრულებო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.

მუნიციპალური ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის გადაცემას არ ეთანხმება ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ნათია აფხაზავა. ის მიიჩნევს, რომ თვითმმართველობა არღვევს დეცენტრალიზაციის პრინციპს, როდესაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ქონების განკარგვაზე უარს ამბობს და მას, გასხვისების მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას გადასცემს:

„დეცენტრალიზაციის გარდა, არღვევს საჯაროობის პრინციპს. უვლის გზას კანონმდებლობით განსაზღვრულ მექანიზმებს, როგორიცაა აუქციონი, მოქალაქეების გამოკითხვა და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება, მაშინ როდესაც თვითმმართველობა უნდა იბრძოდეს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ცდილობდეს იმ ქონების შენარჩუნებას და მისგან სარგებლის მიღებას, რომელიც მას ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით შემორჩა. ნაცვლად ამისა, უარს ამბობს მასზე და აძლევს რეგიონულ მთავრობას“, – ამბობს ნათია აფხაზავა.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ზღვის სანაპირო მწვანე კონცხის პლაჟის სახელითაა ცნობილი და იგი ბათუმელებისა და დამსვენებლებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილად ითვლება. 49-წლიანი იჯარით მისი გასხვისების პერსპექტივა მოქალაქეების ნაწილში პროტესტს იწვევს. ისინი ითხოვენ, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია და სანაპირო ზოლი საჯარო სივრცედ შენარჩუნდეს.

ეკა ლორთქიფანიძე

გაზსაცავის მშენებლობას ტარიფის გაზრდა მოჰყვება?

გაზსაცავის მშენებლობა 4 წელიწადში დასრულდება და საქართველოს ენერგოუსაფრთხოება გაიზრდება. თუმცა, პარალელურად, შეიძლება, გაიზარდოს ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფიც. ექსპერტების ერთი ნაწილი სწორედ ამგვარ დასკვნას აკეთებს იმ პასუხებისგან, რომელიც სამთავრობო უწყებებისგან გაგზავნილი კითხვების პასუხად მიიღო.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას კონკრეტული წინადადება სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს ბაზაზე მიწისქვეშა გაზსაცავის დაპროექტებასა და მშენებლობაზე 14 კომპანიისგან უკვე აქვს. ახლა ჯერი ინვესტორის შერჩევაზეა. მიწისქვეშა საცავის მშენებლობის დასრულების შემდეგ მასში 300 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზის შენახვა იქნება შესაძლებელი, რაც საქართველოს წლიური მოხმარების 15%-ს შეადგენს.

გაზსაცავის სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2018 წლის პირველ ნახევარში იგეგმება, ხოლო დასრულება – 2021 წელს. გარდა ამისა, მიღებული იქნება დამატებითი გეოლოგიური ინფორმაცია და დაზუსტდება საცავის ტექნიკური პარამეტრები.

გაზსაცავის მშენებლობა დაფინანსდება როგორც თავად ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ, ისე საერთაშორისო ფინანსური და დონორი ორგანიზაციებისგან მოზიდული სახსრებით. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, პროექტის დაფინანსების შესწავლისა და პირობების ოპტიმიზაციის მიზნით, აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს კომერციულ ბანკებთან, საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან და კერძო კომპანიებთან.

მთავრობაში ამტკიცებენ, რომ გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობით საქართველო მიიღებს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს ქვეყნის მომხმარებლების საცავიდან გაზის შეუფერხებლად მომარაგებას.

სულ სხვაგვარად ფიქრობს ზოგიერთი სპეციალისტი. ენერგოუსაფრთხოების საკითხების ექსპერტი გიორგი ჭაღიაშვილი გაზსაცავის მშენებლობის გამო გაზის ტარიფის 20%-მდე გაზრდას ვარაუდობს. მან პროექტთან დაკავშირებით გარკვეულ საეჭვო საკითხებზე სამინისტროს და გაზის კორპორაციას რამდენიმე შეკითხვით მიმართა. მათი პასუხებით კი ირკვევა, რომ გაზსაცავის მშენებლობისთვის ქვეყანა დიდი კრედიტს იღებს.

გიორგი ჭაღიაშვილმა გაზსაცავთან დაკავშირებით რამდენიმე საეჭვო გარემოებაზე ჯერ კიდევ თებერვალში ენერგეტიკის სამინისტროს და გაზის და ნავთობის კორპორაციას კითხვებით მიმართა.

„კითხვაზე, გაზსაცავის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გაძვირდება თუ არა ტარიფი, პასუხად მივიღე, რომ ეს დამოკიდებულია განხორციელებულ ინვესტიციის მოცულობაზე და მომსახურების საფასურის დადგენის მეთოდოლოგიაზე, ანუ, შესაძლოა, რომ გაძვირდეს. ჩემი ვარაუდით, ეს იქნება 20%-მდე და გაზის ტარიფი შეიძლება 65 თეთრამდეც კი გაიზარდოს“, – აღნიშნა ჭაღიაშვილმა „პირველთან“ საუბარში.

დაფინანსების წყაროსთან დაკავშირებით კითხვაზე პასუხში წერია, რომ თანხის მობილიზება მოხდება ისეთი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, როგორიცაა ევრობანკი, აზიის განვითარების ბანკი, „კაეფვე“. ეს ორგანიზაციები კი ქველმოქმედებას არ ეწევიან და კრედიტებს გასცემენ სახელმწიფოებისთვის.

„გამოდის, რომ გაზსაცავის მშენებლობისთვის საქართველო 300 მილიონამდე კრედიტს იღებს. ქვეყანას, რომელსაც გაზის რესურსი თვითონ არ გააჩნია, არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გაუმართლებელია ამხელა რესურსი გაზსაცავში ჩადოს. საგანგაშო ისაა, რომ გაზის ინდუსტრიის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის პერსპექტივა არ აქვს. კრედიტით აღებული ამხელა ინვესტიციის დახარჯვა კი მიზანშეწონილი არ არის. საქართველოს არა აქვს სომხეთის მსგავსი პრობლემები. ამ მეზობელი ქვეყნისგან განსხვავებით, პირველი მიმღები ვართ და ამ თანხის სხვა ენერგომატარებლებში დახარჯვა უფრო ეფექტური იქნებოდა“, – აცხადებს სპეციალისტი.

ბექა დანელია

ადიდებული მდინარე და დატბორილი ქუჩები...

ძლიერმა წვიმამ ქობულეთში პრობლემები შექმნა. ადიდებული მდინარე აჭყვა კალაპოტიდან გადმოვიდა, რის გამოც ე.წ. ვილარის დასახლება დაიტბორა. წყალმა ცენტრალური გზა და საცხოვრებელი სახლების ეზოები დაფარა.

მოსახლეობა ამტკიცებს, რომ სანიაღვრე არხები არ იწმინდება და სწორედ ეს ქმნის პრობლემას. ისინი ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

განათლება გუშინ, დღეს, ხვალ...

მნგრეველები და მათი მემკვიდრენი

კლასიკური პერიოდის საბერძნეთის ისტორიიდან ბრძნული აზრების გვერდით გასართობი მასალების მოტანაც მრავლად შეიძლება. შევეხები ერთს. ახ. წ. III საუკუნის ფილოსოფიის ისტორიკოსი დიოგენე ლაერტი წერს, სოკრატეს მოწაფემ ანტისთენემ წამოაყენა წინადადება, მიეღოთ დადგენილება იმის შესახებ, რომ ვირები ცხენებად მიეჩნიათ. ათენელებმა უპასუხეს, ეს უაზრობა იქნებოდაო. ანტისთენემ ჭკუის დამრიგებლებს განუცხადა, თქვენ ხომ უბრალო ხმის მიცემით, მხედართმთავრებად ირჩევთ ულირს ადამიანებსო. ანტისთენეს დროსაც ხდებოდა ის უმსგავსობანი, რაც მრავლადაა ჩვენ გარშემო.

გადამთიელთა ჭკუის დარიგებებმა სანამდეც მიგვიყვანა ეტყობა, დაქცეულსა და გავერანებულ ქვეყანას. ნაცისტების დარგული ბოროტების მცენარეები შესანიშნავად ხარობენ და ყვავილობენ. დღესაც კეკლუცობენ და პოზიორობენ უცხოურ დიპლომიანი „აპელაციის მცოდნენი“. უკანასკნელი წლების ქართულმა რეალობამ დაამტკიცა, რომ უცხოურ დიპლომებზე გამოდევნება არის უმოკლესი გზა თანამდებობათა დასაკავებლად. შედეგი? ვუახლოვდებით ცენტრალური აფრიკის ჯუნგლებს, თუ უკვე არ გავუსწარით.

ყველა ქვეყანაში პატივს სცემენ უცხოურ განათლებას, მაგრამ თანაბარ პირობებში ეს უპირატესობას არ წარმოადგენს. საქართველოში ეს საკითხი კულტის დონეზეა აყვანილი და ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები გუდრუკს უკმევენ (რაოდენ მრავლის მეტყველია ის ფაქტიც, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ოცნებობს, სწავლა გაგრძელოს სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, მაგრამ ქართული განათლების სიდუხჭირემ იძულებული გახადა დროებით უარი ეთქვა ცოდნის გაღრმავებაზე). მე, როგორც საუნივესიტეტო ცხოვრებაში ახალგაზრდობიდანვე ჩართულს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ განათლების სფეროს სერტიფიკატოსან ჭკუისდამრიგებლებს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თანამედროვე მეცნიერებაზე და იმაშიც ვერ გარკვეულან, რომ განათლება მარტოოდენ ინგლისურის საყველპურო ცოდნა არ არის (რაოდენ დასანანია, რომ ამ სფეროში ამაოდ დაშვრა ნაფიცი ნაცისტი, შეუდარებელი „რეფორმატორი“ შაშკინი. რაც მისი ფართოდ რეკლამირებული ინგლისურენოვანი უმუშევრების დასაქმებით რა სიკეთე ნახა საქართველომ, მსგავსი სიკეთე არ მოაკლოს ღმერთმა ნაცისტებს). გზას აცდენილმა ნახევრად განათლებულმა განათლების მესვეურებმა ისე აურდაურიეს ელემენტარული განათლების საქმე, რომ ქართველ მოსწავლეთა ნაწილს, უცხოურად კი არა, გამართულად მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა უჭირს, რაც ნებისმიერ ომში დამარცხებაზე დიდი ტრაგედიაა. ჩვენი მერცხლებივით სხარტი და უნიჭიერესი ბავშვები მიტოვებული გვყავს გაუგებრობაზე აგებულ სახელმძღვანელოთა ტყვეობაში. რა მოაქვს ბავშვს სკოლიდან და რას ვახვედრებთ უნივერსიტეტში? ევროპული სტანდარტების დანერგვის გაწამაწიაში საერთოდ მიეცა დავიწყებას ის ჭეშმარიტება, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს კადრი ქართული სკოლისათვის. ვიდრე ეს საკითხი სწორ გზაზე არ დადგება, ყველაფერი ყბედობად და არაფრისმომცემი სიტყვების რახარუხად დარჩება. მასწავლებელი უნდა იყოს მასწავლებელი. ყოველივე იწყება სკოლიდან, მაგრამ გეოგრაფიის მასწავლებელი ისტორიას არ უნდა ასწავლიდეს და ბიოლოგიისა — მათემატიკას ან — მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. სკოლას, ისევე როგორც უნივერსიტეტს, განათლებული და საგნის მცოდნე სპეციალისტი (რომლის დიდი დეფიციტი შექმნეს ნაციონალებმა თავიანთი გაუაზრებელი „ურა“ რეფორმით და, რაც მთავარია, ასაკობრივი ზღვარით). მრავალგზის მითქვამს და კვლავ უნდა გავიმეორო, ჩვენს ალმა მატერს სასიკვდილო ლახვარი ნაცებმა ჩვენს თვალწინ ჩასცეს. ვიბრძოლეთ თავგანწირვით, მაგრამ დავმარცხდით. მოგვექცნენ ბარბაროსული დაუნდობლობით. განაჩენი — vae victis, დღესც ძალაშია. (სხვათა შორის მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ნაცისტების ვერდიქტის შეცვლა აზრად არავის მოსვლია. დღემდე ვიმყოფებით დამარცხებულის მდგომარეობაში).

გავიდა წლები. სიცრუეზე აღმოცენებული დანაშაულის ჩამდენებს თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდნიათ. განათლებისა



და მეცნიერების რეფორმის სახელწოდებით მონათლულმა გაუგებრობამ ფიასკო რომ განიცადა, ამის შესახებ რატომ ხმას არ იღებენ ის პერსონები, რომლებიც ბუკითა და ნაღარით აგუგუნებდნენ ნეტარი დღეების დადგომას? რატომ შერჩათ ღალატი მოღალატეებს? მათ მიერ ჩადენილი საქმენი ხომ დღესავით ნათელია და გამოძიება არ სჭირდება. რატომ გამოცხადდა უკან სვლა წინსვლად? სად არიან ის მეხოტბენი, ტკბილი ხმით რომ უგალობდნენ ნაცისტების ბრწყინვალე გარღვევას ევროპისაკენ? სად აღმოვჩნდით? რატომ დუმან სიცრუის მეტაშფანდურენი? უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორები ნახევარსიმართლის სამსახურში დგანან. რატომ თვლიან უნივერსიტეტის გადამრჩენად თავს ისინი, რომლებიც ხუბუას გვერდით დადგნენ? ერთი ვკითხოთ, რა გადაარჩინეს? უნივერსიტეტის შესახებ თვით უნივერსიტეტელები ხმას არ იღებენ. ნუთუ მოსწონთ, რაც მოხდა? ერთადერთმა პროფესორმა, აკად. ნ. ცინცაძემ გააკრიტიკა მკაცრად. რაოდენ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო სამეცნიერო საქმიანობა იმ უთავბოლობამ, რაც რეფორმამ მოიტანა! რაოდენ სავალალო შედეგებით დამთავრდა უვიცთა და მედროვეთა გაუაზრებელი, რეფორმად წოდებული სიცრუე! მოსალოდნელი იყო, რომ აკად. ნ. ცინცაძის გულისტკივილს გამოხმაურება მოჰყვებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ყველანი საკუთარი ნიჟარის უსაფრთხოებაზე ფიქრობენ და ზედმეტ პრობლემებს გაურბიან. ნუთუ უნივერსიტეტის სამეცნიერო დონის შენარჩუნება მათ ინტერესებში არ შედის? ნუთუ ფიქრობენ, რომ ნაციონალები მობრუნდებიან და პასუხს მოსთხოვენ?

ნაციონალების დანერგილი პოზიორობა ხელისუფლების ახალმა ცვლამ ძალაში დატოვა და ოდნავი გადახვევაც აზრად არ მოსვლია. ძველებურად ცდილობენ თავგზა აურიონ განათლების მსურველებს და სხვა მიმართულებით მიანიშნებენ. იმას კი არ ცდილობენ, მშობლიურ გარემოში შექმნან თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემა, არამედ უბიძგებენ გაეცალონ სამშობლოს. ნაციონალების მსგავსად თითიც არ გაუნძრევიათ (ნაციონალები ანგრევდნენ, ამათ დასანგრევი არაფერი დაუტოვეს). ნაციონალების საგანმანათლებლო პოლიტიკა გრძელდება. ვინ არის განმკითხავი? რას ნიშნავს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ახალგაზრდობის დამოძღვრა: მიაშურეთ უცხოეთს. წარმატებულ სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, სწავლა გააგრძელონ უცხოეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში (თითქოს თვითონ რომ სწავლობდნენ, გამოადგა საქართველოს. ვინ ამჩნევს მათ საქმიანობაში უცხოური განათლების შედეგს (ხელფასები არ მაქვს მხედველობაში). განათლება და მეცნიერება ვერ პასუხობს მოთხოვნებსო, დაგვიტოვა ანდერძად ლომაიამ. რამდენმა წყალმა ჩაიარა, შეიცვალა რაიმე? ნუთუ ვისაც სწავლება შეეძლო, მათი გაძევებაა ევროპეიზაციის ამოსავალი? რატომ ფიქრობთ, რომ სუფთა ფურცლიდან საქმის დაწყება ადვილია? რატომ ვუნერგავთ ჩვენს მომავალს არასრულფასოვნების განცდას? ესეც ხომ ნაცების უცხოური სტანდარტების მთავარი შიგთავსია, რომელმაც შეგნებულად აურდაურია, რომ მოეპოვებინა სანუკვარი, განვითარებადი ქვეყნის სტატუსი (ამის შესანიშნავი დადასტურება იყო ინგლისურენოვანი გაუგებრობის შემოსვლა საეჭვო მონაცემების მასწავლებელთა სახით, რომელიც ჩინებულად დააგვირგვინა შაშკინის „გენიალურმა“ ექსპერიმენტმა. რა მივიღეთ? შედეგზე რატომ დუმან?). როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები გულს უცრუებენ სტუდენტებს და საქვეყნოდ აცხადებენ, სახელმწიფო გვერდით დაუდგება იმათ, ვინც უცხოეთში გაგრძელებს სწავლასო. აქ იბადება ბუნებრივი კითხვა. საქართველოში წარმატებით რომ სწავლობენ და ასწავლიან, მათ არ სჭირდებათ ხელის შეწყობა? უცხოურდიპლომიანო ბატონებო, ეს არის თქვენი უცხოური სტანდარტი? სანამდე აპირებთ ნაცრის ფრქვევით ამქვეყნიური ნეტარებით ტკბობას? სკოლა და უნივერსიტეტი არჩევნები არ არის, რომელსაც როგორც მოგესურვებათ, იმ მხრიდან გამოაბამთ ყურს. სკოლა და უნივერსიტეტი მარადიული ცნებებია და მათთან დაკავშირებით მეტი სერიოზულობაა საჭირო (ცოდნის ამ მარაგით დაბრუნდით უცხოეთიდან? და ასეთ უსწორმასწორო გზაზე გსურთ დააყენოთ მომავალი თაობა?), სანამდე გაგრძელდება „ფსევდოგანმანათლებელთა“ ბრძნული იდეების მხარდაჭერა ჭეშმარიტების მსახურების სახელით?

გრანი ქავთარია

P.S. შვიდ ბრძენთა შორის ძველი ბერძნები განსაკუთრებული მოწიწებით მოიხსენიებდნენ კანონმდებელ სოლონს. მისი ბიოგრაფი პლუტარქე წერს, სოლონი ვერ ურიგდებოდა ათენში ტირანიის დამყარებას (სხვათა შორის, ტირანად არჩეული პისისტრატე მისი ნათესავი იყო). ხშირად გამოდიოდა მოურიდებელი კრიტიკით. ახლობლები აფრთხილებდნენ, რომ ზომიერება დაეცვა, მაგრამ იგი აზრს არ იცვლიდა. ბოლოს ჰკითხეს, რისი იმედი გაქვსო, სოლონმა უპასუხა, ასაკისო. ამ გადახვევით იმის თქმა მსურს, რომ ანტიკურ ათენში გაცილებით მეტად აფასებდნენ ასაკოვან ადამიანებს და ითვალისწინებდნენ მათ დამსახურებას, ვიდრე დღევანდელ საქართველოში. თანამდებობის მაღალ საფეხურებზე მოკალათებული პერსონები (უმეტესწილად შეუფერებლები) ასაკოვან ადამიანებს საიქიოდან მობრუნებულებად თვლიან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ფიქრობენ რატომ არ კვდებიან ხანდაზმულებიო. უნდა დავამშვიდო, ნუ ინერვიულებენ (მათი ნება რომ იყოს, ალბათ, არც გვაცოცხლებდნენ, მაგრამ ამქვეყნიდან წასვლას უფალი განაგებს).

გვახსოვს ლომაიას აქტიური მომხრეების საგმირო საქმეები, რომლებიც საქვეყნოდ გაჰკიოდნენ, უნივერსიტეტში ჭაღარა ხალხის ადგილი არ არისო. ასეთი ახალგაზრდები წარმართავდნენ რეფორმებს.. მოჩვენებითმა ერისკაცებმა უმოწყალოდ გააჩანაგეს და დაავიწროვეს მამულის ცნება. ასპარეზი დაიკავეს უსამშობლო არსებებმა, რომლებისთვისაც წარსულის ხატი ჩამორჩენილობის უტყუარი ნიშანია. მთავარი შეკითხვა (მივმართავ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და უნივერსიტეტის რექტორს), რომელსაც ათი წელია ვსვამ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია: უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც ნაციონალებს ტაშს არ უკრავდნენ, დიდხანს დარჩებიან მეორე კატეგორიის პერსონებად?

ძველი საბერძნეთიდან ერთ უწყინარ მაგალითს შეგახსენებთ. ათენში, თანამდებობაზე ასარჩევ პირთა ღირსებების ჩამონათვალში ხაზგასმული იყო, როგორ ექცეოდა იგი უფროსი თაობის წარმომადგენლებს. თუ რომელიმე მათგანს ამ სფეროში გარკვეული გადახრები აღმოაჩნდებოდა, იგი თანამდებობისათვის შეუფერებლად ჩაითვლებოდა („ევროპულ“ განათლებას დაუფლებულ ქართველელებს ყველაფერი შებრუნებულად ესმით). მსგავსი ფაქტების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ეს უშველის საქმეს?

გ. ქ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №201-202

სააპელაციო სასამართლომ გირგვლიანის საქმეზე ჩხიტუნიძე არ გაამართლა

„თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 28 მარტს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილი მოადგილე დ. ჩ. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სამ ეპიზოდში დამნაშავედ ცნო.

სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადასტურებულად მიიჩნია, რომ დ.ჩ.-მ, რომელიც 2005-2009 წლებში, იკავებდა საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსის მოადგილისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობებს, როგორც საჯარო მოხელემ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულ პირებს მიანიჭა არაერთი უკანონო პრივილეგია და ისინი ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე, არაერთხელ უკანონოდ გამოიყვანა საპატიმრო დაწესებულებიდან, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დ.ჩ. დაუსწრებლად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, საბოლოოდ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. დ.ჩ. იმყოფება მიმალვაში და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ბაგრატიონთა შთამომავალი?

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ჯუანშერ ვათაძე

პეტრე I ახალგაზრდობისას

მეფე ალექსი მიხეილის ძეს მ. მილოსლავსკაიასგან ძირითადად არაჯანსაღი, ავადმყოფური შთამომავლობა ჰყავდა, ზოგიერთი მათგანი დაბადებისთანავე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენთა შორის უმრავლესობა გოგონები იყვნენ, მაშინ, როდესაც ბიჭები სუსტი და უძლური იზრდებოდნენ და ასევე შედარებით ადრეულ ასაკში კვდებოდნენ. მეფე ალექსი მიხეილის ძის შთამომავლობითი ნაყოფიერების შესახებ ნ. ვიტსენის და მ. შაგინიანის გამონათქვამების გათვალისწინებით ი. ვოდარსკის ზემოთ მითითებული მოსაზრების მართებულობა იმის თაობაზე, რომ მილოსლავსკაიასგან დაბადებული მეფის ასული სოფიო „ძალზე ენერგიულ ქალბატონად ითვლებოდა“, ეჭვს იწვევს, რადგან რეალურად სავსებით დასაშვებია მისი ასევე არაკანონიერი წარმომავლობა.

მარიამ მილოსლავსკაიას გარდაცვალების შემდეგ მეფე ალექსი მიხეილის ძემ მასთან ახლომდგომ ბოიარინ არტამონ სერგის ძე მატვეევის რჩევით მეორედ იქორწინა და ცოლად მოიყვანა სმოლენსკელი აზნაურის კირილე პოლუექტის ძე ნარიშკინის ქალიშვილი ნატალია. როგორც ვ. კლიუჩევსკი აღნიშნავდა, **„დედოფალი ნატალია წაყვანილ იქნა „დასავლეთელი“ ა.ს. მატვეევის ოჯახიდან, რომლის სახლი ევროპულად იყო მოწყობილი: ნატალიას შეეძლო, სასახლეში იგივე გემოვნება დაენერგა, რომელიც თავისი აღმზრდელის სახლში შეითვისა“. თავადი ბორის კურაკინის აზრით, ნატალია კირილეს ასული ლამაზი ქალი გახლდათ, „გვარიანი ტემპერამენტისა, კეთილშობილი (ხასიათისა), მაგრამ საქმიანობისადმი არცთუ გულმოდგინე და დახელოვნებული, თან მსუბუქი ჭკუისა“**. როდესაც გათხოვდა იგი 21-ე წელში იყო გადამდგარი (ალექსი მიხეილის ძე მასზე თითქმის ორნახევარჯერ უფროსი იყო).

რუს მეფე ალექსი მიხეილის ძის მეორე ქორწინება, როგორც სახელმწიფოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენა, დიდი ფუფუნებით ჩატარდა რუსეთის არისტოკრატიის ნაღებისა და უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. უნებურად ის გარემოება იქცევს ყურადღებას, რომ ამ წმინდა რუსული ეროვნული საზეიმო რიტუალის წარმმართველის, ე.წ. „ტისიაცკის“ ანუ მეფის ახლო მეგობრის (ხელისმომკიდეს) მოვალეობა ქართველ (კახელ) ბატონიშვილს **ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონს (მომავალ ერეკლე I-ს)** დაევალა.

მეფესთან არა მხოლოდ იერარქიული სიახლოვის გამო, არამედ როგორც რუსეთის სამეფო კარზე კეთილგანწყობისა და პატივისცემის ვითარებაში აღზრდილმა ღირსეულმა ახალგაზრდა ქართველმა ბატონიშვილმა (მაშინ იგი 28 წლისა იყო), ნიკოლოზ დავითის ძემ მთელი რუსეთის თავად-აზნაურობის სახელით მეფეს ქორწინებასთან დაკავშირებული დღესასწაული მიულოცა. ყურადღებას ის გარემოებაც იპყრობს, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევა არ ყოფილა და რომ იგი მომდევნო დღესასწაულებზე — პეტრე I-ის დაბადებასა და ნათლობაზე უცვლელად წამყვან პერსონად ითვლებოდა მეფისა და მისი ოჯახის წევრების შემდეგ, რაც უდავოდ მოწმობდა ქართველი ბატონიშვილისადმი როგორც მეფის ოჯახის, ისე რუსეთის სამეფო კარის მხრივ ზედმიწევნით კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამონაწერს ე.წ. „რაზრიადნაია რელაციას“ ტექსტიდან, რომელიც პეტრე I-ის დაბადების დღეს ეხებოდა:

„მაისის 30-ე დღეს (1672 წ.), ხუთშაბათს, წმინდა ისააკ დალმატიელის ხსოვნის აღსანიშნავ დღემდე ორნახევარი საათით ადრე, ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობით დიდ ხელმწიფეს, მეფესა და დიდ თავადს ალექსი მიხეილის ძეს მთელი დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის თვითმმართველს მისი მეუღლისაგან **პალატაში) მაგიდასთან (წოდებრივი) ხარისხის მიხედვით ისხდნენ: ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე (და სხვა ბატონიშვილები)...; ქართველ ბატონიშვილს ემსახურებოდა სუფრაჯი თავადიშვილი ბორის ლუკას ძე ლვოვი“**.

როგორც ვარაუდობდნენ, მეფე ალექსი მიხეილის ძის მეორე ქორწინებისათვის რუსეთში ზნეობრივმა პროგრესმა ადრინდელ ცხოვრებასთან შედარებით შესამჩნევად იჩინა თავი, მაგრამ იგი მაინც აღსავსე იყო წინააღმდეგობებით: „გვირგვინოსანი სასიძო თავის საცოლეს არა ყრუდ გამოკეტილ ოთახში ხვდებოდა, არამედ ბოიარინ მატვეევის „ევროპულად“ მოწყობილ სახლში, თუმცა სხვა შემთხვევაში საქმროს ქორწინებამდე მომავალ ცოლთან შეხვედრა სრულიად დაუშვებლად ითვლებოდა“, ხოლო „ოჯახურ ურთიერთობათა ცხოველური გამოვლინებები ერთნაირად ახასიათებდა როგორც ბოიართა, ისე ყმა გლეხთა მოდგმას“. საინტერესოა, რომ არსებულ სიმკაცრეთა მიუხედავად **პირველმა მიიყვანა თავისი ცოლი თეატრში — იმდროინდელ ე.წ. „კომედიურ ქმედებაში“**. ეს დარჩა და შედეგიც გამოიღო, ყოველივე დანარჩენი უკვალოდ გაქრა. პეტრე, როგორც დავრწმუნდებით მისი შვილი არ იყო. მისი შვილები — სუსტი და გონებრივად განუვითარებელი თევდორე და ავადმყოფი, ნახევრად იდიოტი იოანე იყვნენ. ძველი და ახალი უცნაურად თანაარსებობდნენ „ჩუმზე ჩუმი ალექსის ფსიქიკაში“ — აგრძელებს თხრობას რუსი ისტორიკოსი და პეტრე I-ის უკანონო წარმომავლობის შესახებ თავისი ვარაუდის შესამაგრებლად თანამედროვეთა და თვით მეფე-რეფორმატორის თანამებრძოლთა სიტყვებს იმოწმებს: **„პეტრე ნამდვილი ხელმწიფე არ არის. მეფე ბავშვობის ასაკში შეცვალეს — ამბობდნენ ხალხში. თვით პეტრესაც კი არ სჯერა იმისა, რომ იგი ნამდვილია, არ სჯერა, რომ იგი მეფე ალექსი მიხეილის ძის შვილია. ამ დაეჭვებისათვის მას მართლაც რომ ბევრი საფუძველი აქვს. იგი არაფრით ჩამოჰგავს**

მეფე ალექსი I-მა რუსი ლამაზმანებიდან ნატალია ნარიშკინა შეარჩია.

ხელმწიფე დედოფლის ნატალია კირილეს ასულისაგან, სათათბიროს აზნაურის კირილე პოლუექტის ძე ნარიშკინის ქალიშვილისაგან შეეძინა ვაჟიშვილი კეთილღირსეული ბატონიშვილი და დიდი თავადი პეტრე ალექსის ძე, მთელი დიდი, მცირე და თეთრი რუსეთისა. იმავე ხუთშაბათს, დღის მეორე საათზე დიდმა ხელმწიფემ ინება სამოციქულო ეკლესიის უწმინდესი ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მისვლა გალობის მოსასმენად. ხელმწიფეს თან ახლდნენ ბატონიშვილები, ბოიარები, კარისკაცები, სამართლის მოხელენი, აზნაურები ფერადი სამოსელით, პოლკოვნიკები ჯარისკაცებისა, ასევე პოლკოვნიკები სტრელცებისა, მათი მეთაურები და ნახევარმეთაურები, ასევე ფერად საბრძოლო ტანსაცმელში გამოწყობილები. გალობის მოსმენის შემდეგ ღვთისმოსავმა პიტირიმმა დიდი ნოვგოროდისა და ველიკიე ლუკის მიტროპოლიტმა და სხვა მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებმა მთელს კურთხეულ საკრებულოსთან ერთად მას, დიდ ხელმწიფეს, მიულოცეს. ამის შემდეგ მასვე, დიდ ხელმწიფეს მიულოცეს ბატონიშვილებმა, ბოიარებმა, კარისკაცებმა, სათათბიროს წევრებმა, ნათესავებმა და სხვადასხვა წოდების ადამიანებმა; ხოლო სიტყვა წარმოთქვა ქართველმა ბატონიშვილმა ნიკოლოზ დავითის ძემ. საეკლესიო ტაძრიდან დიდმა ხელმწიფემ მოისურვა ღვთის არქისტრატიგის მიხეილის ტაძარში გამგზავრებულიყო, იქიდან — ვოზნესენსკის ქალთა და ჩუდოვოს მონასტრებში, აგრეთვე, მის წინკარში მდებარე უწმინდესი ღვთისმშობლის ეკლესიაში, შემდეგ კი ამ ეკლესიიდან მან სასადილო ქოხში მისვლა მოისურვა“.

პეტრე I-ის ნათლობის აღსანიშნავი ღონისძიების შესახებ „რაზრიადნაია ზაპისკაში“ აღნიშნული იყო, რომ **„დიდ ხელმწიფესთან ძღვენით მისული იყვნენ: ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე, ბატონიშვილები — კასიმოველი ვასილ არასლანოვიჩი და მისი შვილი ვასილი ვასილის ძე, ციმბირელი (ბატონიშვილები) პეტრე და ალექსი ალექსის ძენი, აგრეთვე ბოიარები. ხოლო (წახნაგოვან** ცოლები მაინც ახერხებდნენ ქმრების ღალატს და რომ იმ ეპოქის ზნე-ჩვეულებათა თანამედროვე აღმწერის გრიგოლ კოტოშიხინის რწმუნებით ერთგვარი თეორიაც კი არსებობდა უცხოელებთან თითქოს დაშვებული სასიყვარულო კავშირის შესახებ: **„ქალს უცხოელთან მრუშობა ეპატიება. ბავშვი უცხოელისაგან თუ დაიბადება, მოინათლება, მაგრამ თუ მამაკაცმა სხვა რჯულის მქონე ქალთან შესცოდა — ბავშვი მოუნათლავი დარჩება, რაც უფრო დიდი ცოდვაა, რადგან უნათლავი სარწმუნოება გავრცელდება“**.

რაგინდ მოკრძალებული უნდა ყოფილიყო ზნეობრივი ხასიათის სიახლენი, მეფე ალექსი მიხეილის ძემ ისინი დაუშვა, რაც სიმპტომატური აღმოჩნდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მომდევნო განვითარებისათვის. **„31 წელი ეჭირა ტახტი მეფე ალექსის, ვიდრე ჭარბმა სიმსუქნემ სამარემდე არ მიიყვანა, მისი ცხოვრების 48-ე წელს“** — აღნიშნავდა გასული საუკუნის 20-იანი წლების ისტორიკოსი ი. ვასილევსკი, რომელსაც დიდ დამსახურებად მიაჩნდა, რომ მეფე ალექსიმ **„პირველმა ჩაიცვა გერმანული ტანსაცმელი, პირველმა ისარგებლა გერმანული კარეტით გადასაადგილებლად და არც სუსტი აღნაგობის ალექსი მიხეილის ძეს, არც ავადმყოფ ძმას თევდორეს და ნახევრად ბრმა იდიოტს იოანე ალექსის ძეს. თანამედროვეთა მონათხრობებს შორის ვპოულობთ დამახასიათებელ სცენაზე მინიშნებას, როდესაც შეზარხოშებული პეტრე წვერში სწვდა ტიხონ სტრეშნევს, ერთ-ერთ იმ კარისკაცთაგანს, ვისაც დარხეული ხმა პეტრეს დედის ნატალია კირილეს ასულის საყვარლად ასახელებდა, — ვისი შვილი ვარ? — უყვირის მას პეტრე: თქვი, შენი ხომ არა, ტიხონ სტრეშნევო? აი, ეს — აგრძელებს პეტრე და გვერდით მდგომ ივანე მუსინ-პუშკინზე უთითებს, ამან იცის, რომ იგი მამაჩემის შვილია, ხოლო მე ვისი შვილი ვარ? ნუ გეშინია ტიხონ, თქვი, თქვი, თორემ დაგახრჩობ, შე ძაღლო. — შემიწყალე, ბატონო, არც კი ვიცი, რა გიპასუხო, მე ერთადერთი არ ვიყავი, — პასუხობს ნახევრად გაგუდული სტრეშნევი“.**

ბოიარინი ტიხონ ნიკიტას ძე სტრეშნევი რომანოვებს ენათესავებოდა დინასტიის დამაარსებლის მეუღლის (სტრეშნევას) მხრიდან, რომელიც მეფე ალექსი მიხეილის ძის დედა იყო. 1689 წ. სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შემდეგ, როდესაც ნარიშკინებმა საბოლო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №198-202

ნატალია ნარიშკინა.

ოდ სძლიეს მილოსლავსკებს, ტ. სტრეშნევი ნატალია კირილეს ასულის 25 წლის ძმასთან, ლევ კირილეს ძესთან ერთად, ფაქტობრივად, სათავეში ჩაუდგა რუსეთის ახალ მთავრობას. გონებრივი მონაცემებით იგი დიდად არ გამოირჩეოდა, იყო ბოროტი და გაიძვერა კარისკაცი, რომელსაც პეტრე I-ის ქვისლი ბ. კურაკინი „კარის ინტრიგანტს“ ეძახდა: მეფესა და ტ. სტრეშნევს შორის გამართულმა ზემოთ ციტირებულმა დიალოგმა ცხადჰყო, რომ იგი ნატალია ნარიშკინას საყვარელი იყო, ოღონდ არა ერთადერთი. თავისი ასეთი პასუხით პეტრეს გაგებინა, რომ იგი მისი შვილი არ იყო.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ პეტრე I-სა და ტ. სტრეშნევს შორის ამ ინციდენტმა, რომელიც იაკობ დოლგორუკის მემუარებშია ასახული, გასული საუკუნის 40-იან წლებში გზა გაიკვალა დასავლეთევროპული, კერძოდ, გერმანული პრესის ფურცლებზე, მეტად დამახასიათებელი შინაარსის კომენტარითურთ. ვრცელ სტატიაში სათაურით **„ცამეტი სიზმარი სამეფო გვირგვინისა და ტახტის შესახებ. ირაკლი – ბაგრატიონების შთამომავალი და საქართველოს გვირგვინოსანი“, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე „გაიუს მარიუსი“,** მთელი განაკვეთი ეთმობოდა პეტრე I-ის წარმომავლობის პრობლემას. ქვემოთ სრულად გადმოვცემთ ამ მონაკვეთის შინაარსს ქვესათაურით: **„პეტრე დიდი განა რომანოვი იყო?“,** რომელშიც რიგი ცნობილი ფაქტებისა საინტერესო ინტერპრეტაციას შეიცავენ:

„ბაგრატიონთა სისხლი სჩქეფდა... ნაპოლეონის დიდი მოწინააღმდეგისა (პ.ი. ბაგრატიონის – ჯ.ვ.) და, შესაძლოა, უფრო დიდი პიროვნების, პეტრე დიდის ძარღვებში. ბევრი მონაცემი არსებობს, რომლებიც ამის სასარგებლოდ მეტყველებენ, მაგრამ ისინი ვარაუდად რჩებიან და აბსოლუტური დადასტურება ამისა, შესაძლოა, არასდროს მოხდეს. როგორც ცნობილია, პეტრე ითვლება მეფე ალექსის შვილად, ხოლო XVII ს. დამდეგიდან რუსეთში მმართველი რომანოვების დინასტია ტახტის დაკავებამდე უკვე დაცემის ნიშნებს ამჟღავნებდა. ამ სამეფო სახლის დამაარსებელი ავადმყოფური ადამიანი იყო და 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. პირველი რომანოვების ბავშვები, როგორც წესი, ჩვილ ასაკში იღუპებოდნენ. ალექსი და-ძმებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მანაც მხოლოდ 47 წლის ასაკს მიაღწია. პირველი ქორწინებიდან მას ხუთი ვაჟიშვილი და ექვსი ქალიშვილი ჰყავდა, ყველა ისინი სუსტები და ავადმყოფურნი იყვნენ. სამი შვილი ადრეულ ასაკში გარდაეცვალა, ხოლო დანარჩენებმა 30 წლის ასაკსაც ვერ მიაღწიეს. დინასტიას გადაგვარება ემუქრებოდა.

1671 წელს ალექსიმ მეორედ იქორწინა, ამ ქორწინების შედეგად დაიბადა პეტრე, ჯანმრთელი ძლიერი ბავშვი, რომელიც მომდევნო წლებში, ჭაბუკობიდანვე, რომანოვების არც ერთ შთამომავალს არ ჰგავდა. მის წარმომავლობასთან დაკავშირებით თავიდანვე წარმოუდგენელი ჭორები ვრცელდებოდა. მასში გერმანული წარმოშობის მიგდებულს..., ან მისი ტემპერამენტული ცეცხლისმფრქვეველი თვალებისა და შავი თმების გამო აღორძინებულ ანტიქრისტეს ხედავდნენ. მისი დედა ნატალია კირილეს ასული თავისუფლად მოაზროვნე და სიცოცხლის მოყვარული ქალი იყო. როგორც კი დედოფალი გახდა, მან რუსეთის სამეფო კარზე არსებული ზნე-ჩვეულებების რეფორმა განახორციელა, რაც ბოიარებისათვის თავზარდამცემი აღმოჩნდა. იგი ქალაქში სახურავმოხსნილი კარეტითა და დაუფარავი სახით გადაადგილდებოდა. მიღებული ეტიკეტისა და ხალხის აზრისათვის ანგარიშგაუწევლად იგი მოულოდნელ გამოხდომებს აწყობდა ქალაქგარეთ გასეირნებით, რაც მაშინ ღვთისსასურველი დედოფლისათვის სრულიად დაუშვებლად ითვლებოდა.

ბაგრატიონთა ოჯახში მიღებული იყო შვილების მეზობელი ქვეყნების სამეფო კარზე აღსაზრდელად წარგზავნა, ამიტომ პრინცი ნიკოლოზ (დავითის ძე) ბაგრატიონი, რომელიც მეფე ალექსის სასურველ და დიდი ნდობით აღჭურვილ პირად ითვლებოდა, კრემლში უკვე წლების მანძილზე ცხოვრობდა. სწორედ იგი აწყობდა მეფის ოჯახის საქმეებს და ხელი შეუწყო მის მეორე ქორწინებას. ამ ქორწილში სწორედ მას დაევალა ჯვარდასაწერთა მამობილის როლში გამოსულიყო, ხოლო მოგვიანებით სამეფო წყვილის ერთგულ მეგობრად და მრჩევლად ითვლებოდა. ჯვრისწერიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როდესაც ის სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოს გვირგვინოსნად მოევლინა ერეკლე I-ის სახელით. დაახლოებით ამ დროს მოსკოვში დაიბადა პატარა პეტრე. ქართველი ისტორიკოსები მიუთითებენ წერილზე, რომელიც დედოფალმა ნატალიამ ერეკლე I-ნიკოლოზ ბაგრატიონს მისწერა და რომელშიც რჩევას სთხოვდა ბავშვს სახელად რა დავარქვათო.

მთელი ცხოვრების მანძილზე პეტრეს აწუხებდა გაურკვევლობა იმაზე, თუ ვინ იყო მისი მამა. თავის მემუარებში თავადი დოლგორუკი აღწერდა სცენას, რომელიც პეტრესთან გაიმართა. ერთხელ სამეფო კარზე მეტად უხვი საუზმის შემდეგ პეტრემ თვალჩაციებით იქ დამსწრე გრაფ მუსინ-პუშკინს შეხედა და, მიუთითებდა რა მასზე, წარმოთქვა: „ეს ამბობს, რომ იგი თითქოს მამაჩემის შვილია, მაგრამ მე არც კი ვიცი, ზუსტად ვისი შვილი ვარ“. შემდეგ წამოხტა თავისი ადგილიდან და გამალებული სტრეშნევს მიადგა, მეფის საიდუმლო კანცელარიის

ერეკლე I.

ძველ შეფს, რომელიც თავშეყრაში ასევე მონაწილეობდა. „ტიხონ ნიკიტას ძევ, სიმართლე მითხარი, შენ ხარ მამაჩემი?“ გაოგნებულმა სტრეშნევმა არც კი იცოდა, როგორ ეპასუხა. პეტრემ გადაკრა ჭიქა ღვინო, ჩაავლო ხელი სტრეშნევს საყელოში, შეაჯანჯღარა და დაუყვირა: „მიპასუხე, თორემ დაგახრჩობ!“. „თქვენო უდიდებულესობავ – თქვა სტრეშნევმა, – ჭეშმარიტად არ ვიცი, რა გიპასუხოთ. მე ხომ ერთადერთი არ ვიყავი!“. პეტრემ სახეზე ხელები აიფარა და გავიდა დარბაზიდან“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გურამ პეტრიაშვილი

შენ შერხევა ხარ მანდილისა დიდი თამარის...

ამ, რას ამბობს ქეთი მელუა ერთ-ერთ ინტერვიუში:

„ყველა კონცერტზე, სანამ სიმღერას დავიწყებ, ვამბობ, მე ქართველი ვარ“.

„რვა წლის ასაკში წავედი უცხოეთში და ქართული ცნობიერება არ შემიცვლია“.

„მეამაყება ჩემი ეროვნება, გენი, კულტურა და ჯიში“.

თანამედროვე სინამდვილეში, როცა უცხოეთში წასული ქართველები ძნელად თუ ინარჩუნებენ მშობლიურ ენას და, ცხადია, ეროვნებასაც. ქეთი მელუა სანიმუშო პიროვნებაა.

თანაც როგორ უყვარს და მუდამ ენატრება თავისი ბებია და ბაბუა. როგორ უყვარს თავისი სანათესავო!

ბარაქალა, ქეთევან, შენს გამზრდელებს!

ბარაქალა, შენს ქალობას!

ეტყობა, ღმერთი ჩვენს გადარჩენას აპირებს, თუკი კვლავაც გვიგზავნის ასეთ გოგონებს.

ამ პატარა ლექსს ვუძღვნი ქეთის...

ანონიმური ავტორის ფოტო

ქეთი მელუას

მაგ შენს ალალ გულს
გაუმარჯოს,
ჩემო ქეთევან,
შორ უცხოეთში
გასაკვირად
რომ ძგერს ქართულად!
იცოდე, კარგო,
შენი ნაზი
„ციცინათელა“
ჩვენს კოშკს ცისაკენ
სხივმოსილად
ადგას სართულად.
შენ შერხევა ხარ
მანდილისა
დიდი თამარის,
იასამანთა
სურნელების
მძლავრი ქარი ხარ!
ნუ გეგონება,
რომ უბრალოდ
ხარ მომღერალი,
ქართული ლაშქრის
ღვთით ნაკურთხი
მეომარი ხარ!

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნოვა კრედიტი"

ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	**3**
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	**5**
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**9**
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	**10**
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	**11**
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	**12**
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	**13**

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „ნოვა კრედიტი"-ს დამფუძნებლებს:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამიჯნულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნოვა კრედიტი"-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2017 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

_____	_____
დირექტორი	**ბუღალტერი**
მელორი ასათიანი	**თამარ ხარატიშვილი**
29 სექტემბერი, 2017	*29 სექტემბერი, 2017*
თბილისი, საქართველო	*თბილისი, საქართველო*

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ნოვა კრედიტი"-ს დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

პირობითი დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნოვა კრედიტი"-ს (შემდგომში „ორგანიზაცია") ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, და ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „ორგანიზაციის" ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „ორგანიზაციისაგან" დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

1. ორგანიზაცია არ ახორციელებს შეფასებას გაცემული სესხების გაუფასურებაზე და არ აქვს შექმნილი შესაბამისი გაუფასურების რეზერვი, როგორც მოითხოვება ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება"-ს და ფასს 9 – (ფინანსური ინსტრუმენტები)-ს მიხედვით (უკანასკნელი ძალაში შევა 2018 წლის 01 იანვრიდან და განზრახულია, რომ ჩაანაცვლებს ბასს 39-ს).

2. ორგანიზაციამ არ განახორციელა გადავადებული გადასახადების გამოთვლა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, როგორც ეს მოითხოვება ბასს 12-ით „მოგებიდან გადასახადები"-ს მიხედვით.

3. ორგანიზაცია ახორციელებს სესხის გაცემასთან დაკავშირებული საკომისიოების აღრიცხვას საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

მნიშვნელოვანი გარემოება

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილი შესაბამისი ციფრობრივი მონაცემები, გარდა იმ კორექტირებებისა რაც "მე-3, თ" შენიშვნაშია აღწერილი, ეყრდნობა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, რომლის აუდიტი ჩაატარეს სხვა აუდიტორებმა და რომელთა 2016 წლის 20 სექტემბრის დასკვნის თანახმად გამოტანილი იყო უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ განვახორციელეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა „მე-3, თ" აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომელთა მიხედვითაც გადაანგარიშებები მოხდა 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ჩვენი აზრით, ამგვარი კორექტირებები მართებულია და სათანადოდ არის გამოყენებული. ზემოხსენებული კორექტირებების გარდა, ჩვენ არ ვიყავით ჩართული ორგანიზაციის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის ჩატარებაში ან რამე სხვა პროცედურის გამოყენებაში, და ამგვარად არ გამოვთქვამთ დასკვნას ან რაიმე სახის რწმუნებას მთლიანობაში 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ორგანიზაციის" უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებს „ორგანიზაციის" ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ორგანიზაციის" შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ორგანიზაციის" უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია" შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოა-

ჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერ მნიშვნელოვანი ხარვეზების შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

გიორგი ხმალაძე
შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯია ჯორჯია
MCI WorldWide-ის წევრი
29 სექტემბერი, 2017
თბილისი, საქართველო

შპს „ნოვა კრედიტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12/31/2015		12/31/2016
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**4**	1,261,205		4,824,461
კლიენტებზე გაცემული სესხები	**5**	20,402,290		20,945,247
ძირითადი საშუალებები	**6**	163,006		195,414
არამატერიალური აქტივები	**7**	7,165		8,143
წინასწარ გადახდილი გადასახადები		153		11,768
სხვა აქტივები	**8**	1,389,612		2,013,461
სულ აქტივები		**23,223,431**		**27,998,494**
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	**9**	1,796,175		25,568,088
საგადასახადო ვალდებულებები		631,660		445,367
სხვა ვალდებულებები	**10**	79,509		70,214
სულ ვალდებულებები		**2,507,344**		**26,083,669**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	**11**	1,765,300		1,765,300
გაუნაწილებელი მოგება		18,950,787		149,524
სულ კაპიტალი		**20,716,087**		**1,914,824**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**23,223,431**		**27,998,493**

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

_____ _____

დირექტორი **ბუღალტერი**
მელორი ასათიანი **თამარ ხარატიშვილი**
29 სექტემბერი, 2017 *29 სექტემბერი, 2017*
თბილისი, საქართველო *თბილისი, საქართველო*

შპს „ნოვა კრედიტი“
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2015 წ.		12 თვე, 2016 წ.
საპროცენტო შემოსავალი	**12**	3,080,760		3,148,036
საპროცენტო ხარჯი	**12**	(568,746)		(991,607)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		**2,512,014**		**2,156,428**
საკომისიო შემოსავალი	**13**	412,089		512,517
საკომისიო ხარჯი	**13**	(3,145)		(3,349)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**408,944**		**509,167**
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა ზარალი / მოგება		3,556,760		(811,201)
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები		6,102,653		3,504,220
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**14**	(2,396,056)		(2,100,245)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		144,793		194,679
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		18,521		195,283
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(10,496)		(4,453)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები		(52,086)		(72,736)
მოგება დაბეგვრამდე		**10,285,047**		**3,571,142**
მოგების გადასახადი		(1,547,060)		(453,983)
წმინდა მოგება		**8,737,987**		**3,117,159**

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

_____ _____

დირექტორი **ბუღალტერი**
მელორი ასათიანი **თამარ ხარატიშვილი**
29 სექტემბერი, 2017 *29 სექტემბერი, 2017*
თბილისი, საქართველო *თბილისი, საქართველო*

შპს „ნოვა კრედიტი“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	12/31/2015		12/31/2016
წლის მოგება	10,285,047		3,571,142
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,547,060)		(453,983)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	52,086		72,736
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**8,790,073**		**3,189,896**
ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხებში	(5,381,753)		(542,957)
ცვლილებები წინასწარ გადახდილი გადასახადებში	-		(11,615)
ცვლილებები სხვა აქტივებში	(393,643)		(623,849)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	327,799		(186,293)
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	(144,469)		(9,295)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**3,198,006**		**1,815,886**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ცვლილებები ძირითადი საშუალებებში	(53,758)		(104,072)
ცვლილებები არამატერიალური აქტივებში	-		(2,050)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(53,758)**		**(106,122)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(2,781,835)		23,771,913
დივიდენდის გაცემა	-		(21,918,421)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(2,781,835)**		**1,853,492**
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	362,413		3,563,256
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	898,792		1,261,205
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**1,261,205**		**4,824,461**

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

_____ _____

დირექტორი **ბუღალტერი**
მელორი ასათიანი **თამარ ხარატიშვილი**
29 სექტემბერი, 2017 *29 სექტემბერი, 2017*
თბილისი, საქართველო *თბილისი, საქართველო*

შპს „ნოვა კრედიტი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი		გაუნაწილებელი მოგება		სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	**1,765,300**		**10,212,800**		**11,978,100**
წმინდა მოგება/(ზარალი)	-		8,737,987		**8,737,987**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	**1,765,300**		**18,950,787**		**20,716,087**
წმინდა მოგება/(ზარალი)	-		3,117,159		**3,117,159**
დივიდენდის გაცემა	-		(21,918,421)		**(21,918,421)**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	**1,765,300**		**149,525**		**1,914,825**

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:

_____ _____

დირექტორი **ბუღალტერი**
მელორი ასათიანი **თამარ ხარატიშვილი**
29 სექტემბერი, 2017 *29 სექტემბერი, 2017*
თბილისი, საქართველო *თბილისი, საქართველო*

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲩᲐᲠᲝᲖᲐᲓ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

16 ᲫᲕᲔᲚᲘᲡ (საქართველო, ყაზახეთი, რუსეთი, ირანი, სამხრეთი კორეა, უნგრეთი, ბელარუსი, სომხეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ლიტვა, ტაილანდი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმატიში გამართულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში ბოლატ ტურლიხანოვის თასზე. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასპარეზობის ბოლო დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მძიმეწონოსანი (130 კგ) ლევან არაბული, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი ზვიად პატარიძე დაამარცხა.

„ოქრომდე“ თითო მოგება დააკლდათ მინდია წულუკიძესა (75 კგ) და რობერტ კობლიაშვილს (85 კგ), რომლებიც მეორე ადგილებს დასჯერდნენ, ხოლო შმაგი ბოლქვაძემ (75 კგ) და ლაშა გობაძემ (85 კგ) ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲒᲣᲐ

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ პრემიერლიგის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ (სულ 8-ჯერ) გახდა დავით კაჭარავასა და მიხეილ გაჩეჩილაძის „ენისეი“. ორრაუნდიან ფინალში მან გიორგი ფრუიძისა და ლაშა მალაღურაძის „კრასნი იარი“ დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ „იარის“ 25-ივე ქულა (ორი მატჩის ჯამში) ქართველთა ანგარიშზეა.

კრასნოიარსკული დერბის პირველი რაუნდი „ენისეიმ“ 20:9 მოიგო. რა თქმა უნდა, მოედანზე ოთხივე ქართველი იყო და მალაღურაძემ 44-ე, 48-ე და 79-ე წუთებზე ჯარიმები გაიტანა.

მეორე მატჩში „კრასნი იარმა“ რევანშის აღება მოახერხა, აი, 11-ქულიანი ჩამორჩენისა – ვერა. პირველ ტაიმში მალაღურაძემ 3 ჯარიმა გაიტანა და თავისი გუნდი 9:6 დააწინაურა. „ენისეიმ“ წონასწორობა აღადგინა, ხოლო 73-ე წუთზე მალაღურაძის მიერ წამოწყებული კონტრშეტევა ფრუიძემ დაასრულა და მისი ლელო ლაშამ გარდასახა – 16:9 დარჩენილ დრიში ანგარიში აღარ შეცვლილა და, მართალია, კონკრეტულად ეს შეხვედრა „კრასნი იარმა“ მოიგო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში გამარჯვება და ჩემპიონის თასი „ენისეის“ ერგო – 29:25.

პრემიერლიგის ბომბარდირთა დავაში 100 ქულით მეხუთეა მალაღურაძე. მას მეორე ადგილამდე 10 ქულა დააკლდა. საუკეთესო მელეოვეთა დავაში მესამეა ფრუიძე, რომელმაც რუსეთში გადასვლის შემდეგ თავი 7-ჯერ გამოიჩინა.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲩᲝ�გᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲐᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ

25 ᲬᲚᲘᲡ ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის პეკინში გუშინ დაწყებული ჩინეთის ღია პირველობის სასტარტო შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა.

ATP-ის 500-იანთა სერიის ამ პრესტიჟული ტურნირის მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში საქართველოს პირველი და საერთაშორისო რეიტინგის მე-60 ჩოგანი უშანსოდ დამარცხდა 22 წლის ავსტრალიელ ნიკ კირგიოსთან – 1:6, 2:6.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურის მეტოქე პლანეტაზე მე-19-ეა და ცისქვეშეთშიც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ

ᲑᲔᲥᲐ (ᲛᲐᲠᲯᲮᲜᲘᲕ) ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲐᲫᲔᲑᲘ

ᲑᲔᲥᲐᲡ ᲮᲛᲐᲚᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲭᲠᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნისა და სომხეთის 110 მუშკეტერი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის საქართველოს თასის ღია გათამაშებაში, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონის – ნუგზარ ასათიანის სახელობის თბილისის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა. მოხმალავე ვაჟთა ფინალში ერთმანეთს, ტრადიციულად, ძმები – რიოს ოლიმპიადის მონაწილე და ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი სანდრო ბაზაძე და 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ბექა ბაზაძე (ორივე-ქუთაისი) დაუპირისპირდნენ. დაძაბული პაექრობა ამჯერად ბექამ მოიგო 15:14 და მთავარი პრიზი მოიპოვა. ქალებში ლიკა ჯიჯიეიშვილმა გადამწყვეტ შეხვედრაში ოლიმპიური ჩემპიონის – ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილი მარიამ აფციაური (ორივე-თბილისი) დაამარცხა. რაპირაში თასის მფლობელები გახდნენ თეონა გოგლიძე და არჩილ უგულავა (ორივე-თბილისი), დაშნაში კი მარიამ ზაკირჩენკო (ქუთაისი) და გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი) იყვნენ პირველები.

23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი და საქართველოს თასის გათამაშების მესამეადგილოსანი ლუკა ღაღანიძე (თბილისი, რაპირა) 20 ოქტომბერს კაიროში მსოფლიოს თასის ეტაპზე იასპარეზებს.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲘᲡᲐᲓ იტალია, ხორვატეთი და უნგრეთი ახალ ტურნირს – ევროპის თასის გათამაშებას უმასპინძლებენ, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს.

ამ დღეებში რომში გამართულმა კენჭისყრამ მეტოქენი სადებიუტო შეჯიბრების შესარჩევ რაუნდში ასე გადაანაწილა:

„ა“ ჯგუფი. უნგრეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, საქართველო.

„ბ“ ჯგუფი. სერბეთი, ხორვატეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, თურქეთი.

„გ“ ჯგუფი. მონტენეგრო, იტალია, რუსეთი, გერმანია.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ კონტინენტის 14 საუკეთესო ნაკრებიდან „ა“ და „ბ“ ჯგუფებში 5-5 რჩეული მოსინჯავს ძალებს. „გ“ ჯგუფში კი – მხოლოდ ოთხი.

შესაბამისად, მთავარი პრიზისთვის ბრძოლას უნგრული და ხორვატული კვინტეტიდან 3-3 უძლიერესი გუნდი გააგრძელებს, ხოლო იტალიური კვარტეტიდან – ორი.

დავძენთ, რომ მომავალ გამარჯვებულს 80 000-ევროიანი საპრიზო ფონდიდან 20 000 ერგება.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ

ᲠᲐᲤᲐᲔᲚᲐ ᲘᲡᲔᲕ „ᲘᲩᲮᲕᲚᲘᲢᲔᲑᲐ“

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ ბელგიელ მოდელ რაფაელა ფიკოსა და იტალიელ შავტუხა შემტევ მარიო ბალოტელის შორის სასიყვარულო ურთიერთობა კარგა ხანია დასრულდა, ეს წყვილი საზოგადოებას თავს პერიოდულად მაინც ახსენებს ხოლმე და ამის მიზეზი მათი საერთო შვილია.

მარიო ბავშვს ოფიციალურად აღიარებს და ალიმენტსაც გვარიანს იხდის, მაგრამ, როგორც ჩანს, რაფაელა ცოტა უცნაური ქალია და თუ ხასიათზე არაა, მარიოს თავისი პირმშოს ნახვის საშუალებას არ აძლევს, რაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, მაგრამ, ეტყობა, ეს ბელგიელ ლამაზმანს დიდად არ ანაღვლებს.

ამჟამად საფრანგეთის „ნიცაში“ მობურთალი აპენინელი თავდამსხმელი მოუცლელობის მიუხედავად შვილის სანახავად მაინც ახერხებს ხოლმე დროის გამონახვას და როგორც ევროპული ბულვარული მედია გვაუწყებს, მარიოს კარგი მამობის სურვილი და მონდომება ხშირად იყრება წყალში. არადა, ვინ არ გაშორებია ცოლს?...



ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ხსოვნა

ნათელი შენს სულს ამაგდარო და ლამაზო ქალბატონო!

ქართული სუფრა სადღეგრძელოების გარეშე ვის გაუგია, მით უმეტეს, როცა იგი სალხინოდაა გაშლილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჭირის სუფრასთანაც გვიწევს ხოლმე ჯდომა, სადაც თითოეული ჩვენგანი დათრგუნვილია.

თუმცაღა, ასეთ დროსაც, გამოვარჩევთ ერთს — ხსოვნისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოს: „ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, რომელიც არა მარტო ჩვენს თვალს, არამედ გულსაც დააკლდა...“

და აი, ახლა შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მეორმოცე დღეს, ამ სიტყვებით გიხსენებთ, ქალბატონო ნელი.

გასახსენებელი კი მართლაც ბევრი დაგვიტოვე, ათი წლისაც არ იყავი, მამა რომ გარდაგეცვალა. შენი აღზრდა ბიძამ (დედის ძმამ) თეოდოტ ინანეიშვილმა ითავა. თბილისიდან სოფელ ოფშკვითში მოგიწია წასვლა. მაგრამ როგორც იტყვიან, ნოყიერი მარცვალი ხრიოკ მიწაზეც ხარობს. წარმატებით დაამთავრე საშუალო სკოლა, შემდეგ — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და დაიწყო შენი აღმასვლაც.

ოთხი წელიწადი თბილისის მე-13 საბავშვო ბაღში იღვაწე აღმზრდელად.

შემდეგ თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორ-მეთოდისტად გაგამწესეს. მერე კი მთელი 14 წელიწადი მე-14 ბაგა-ბაღის გამგედ იმუშავე, საიდანაც როგორც უნარიან ხელმძღვანელს, თბილისის პირველი ბაგა-ბაღის დირექტორობა განდეს. უნარიანად და უმწიკვლოდ ასრულებდი მოვალეობას მთელი 21 წლის განმავლობაში და პირველი ბაგა-ბაღის პირველობა არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ „მოგასვენეს“ და 170-ე ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორად მიგიწვიეს, სადაც სიცოცხლის ბოლო დღემდე იმუშავე.

შენს ბიოგრაფიას „საპატიო ნიშნის“ ორდენი, გოგებაშვილის მედალი, ღირსების ორდენი და თბილისის მერიის ოქროს მედალიც ამშვენებს. თუმცა, ყველა ამ ჯილდოს შენი შვილების, შვილიშვილებისა და ათასობით აღზრდილის შენდამი მადლიერი მოგონება გადაწონის ალბათ და კიდევ მეთოდური მითითებები, რომლებიც სამაგიდო წიგნად გაიხადეს შენმა ახალგაზრდა კოლეგებმა.

ქალბატონო ნელი, ნიშანდობლივია ისიც, რომ შენი ნეკროლოგი იმ გაზეთში იბეჭდება, რომლის სასურველი ავტორი იყავი მუდამ.

ნათელი შენს სულს ამაგდარო და ლამაზო ქალბატონო.

რუბენ ფცერაძე,
შენი აღზრდილების მამა და ბაბუა

სანთელი

იზოლდა აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ჩვენი კოლეგის **იზოლდა აბაშიძის** გარდაცვალებას.

იზოლდა აბაშიძე უმშვენიერესი, უნიჭიერესი ადამიანი, ყველას ხიბლავდა თავისი კეთილშობილი ბუნებით და ერუდიციით. ძნელია მასზე წარსულ დროში საუბარი, რადგან ინსტიტუტში მუშაობისას და შემდგომაც მისი აზრი ყველასთვის საინტერესო და ყურადსაღები იყო. მას რჩევას ეკითხებოდნენ, მის შენიშვნებს იზიარებდნენ ისინი, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამდა მეცნიერებაში და აკადემიური ხარისხის მქონენიც. ისიც უშურველად უთმობდა ყველას დროსა და ენერგიას.

იზოლდა დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი — არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა და ბებია იყო. მას ყველა უყვარდა და ისიც ყველას უყვარდა, ყველაზე ზრუნავდა და საპასუხოდ არაფერს ითხოვდა.

იზოლდა აბაშიძემ წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იყო სახელობითი სტუდენტი. შემდეგ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში. იყო პირველი ასპირანტი საქართველოში სოციოლოგიის სპეციალობით. გაიარა გზა მეცნიერ-თანამშრომლიდან სოციოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელამდე. სრულიად ახალგაზრდას წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქციაში.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გარდაცვალების შემდეგ კოლეგებთან ერთად უდიდესი ძალისხმევა მოახმარა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების საქმეს.

იზოლდა აბაშიძის მეცნიერული კვლევის ძირითადი სფერო ქალთა დასაქმების პრობლემები იყო. მაგრამ ამით არ ამოწურულა მისი საქმიანობა. უამრავი საარქივო მასალის მოძიების შემდეგ, კოლეგებთან ერთად მოამზადა და გამოსცა წიგნი „ფილიპე გოგიჩაიშვილი“, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით კი საკუთარი ხარჯებით კრებული „პაატა გუგუშვილი — 100“.

ჩვენო ძვირფასო იზო, 26 ოქტომბერს 80 წელი შეგისრულდებოდა. არ შეგეშლია ამ თარიღს აწმყო დროში რომ ვწერთ, რადგანაც ვიდრე შენი შთამომავლები და მეგობრები ვიცოცხლებთ, შენც ყოველთვის იცოცხლებ...

არ გემშვიდობებით, გვიყვარხარ, ყოველთვის გვეყვარები და მოგვენატრები.

შენი მეგობრები და კოლეგები
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტიდან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლუიზა მოწყობილის, ნარგიზ თურმანიძის, მელანია ფოთელიძის, ემინე ზოიძის, რამაზ თურმანიძის და როლანდ გოგიტიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

ლოტი №1

უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლუიზა მოწყობილი (პ/ნ 61001053786), ბათუმი, პუშკინის ქ. №116, ბინა №22;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, პუშკინის ქ. №114/116, სართული 1, ბინა №32 (საკადასტრო კოდი: 05.28.02.014.02.032).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 90298 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 20 ოქტომბერი, 12:00 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №2

უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნარგიზ თურმანიძე (პ/ნ 61006026778), დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №42, ბინა №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, კომახიძის ქ. №113/115, ბინა №29 (საკადასტრო კოდი: 05.27.42.026.01.029).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 25807,60 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 20 ოქტომბერი, 12:15 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №3

უძრავი ნივთის მესაკუთრე: რამაზ თურმანიძე (პ/ნ 61006064716), დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №42, ბინა №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. №322, სართული 1, ბინა №1 (საკადასტრო კოდი: 05.35.27.066.01.001).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 25807,60 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 20 ოქტომბერი, 12:30 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №4

უძრავი ნივთის მესაკუთრე: ემინე ზოიძე (პ/ნ 61004028595), ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №824;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №824 (საკადასტრო კოდი: 20.42.02.009).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 138684,27 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 20 ოქტომბერი, 12:45 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №5

უძრავი ნივთის მესაკუთრე: მელანია ფოთელიძე (პ/ნ 61006010306), ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი შარაბიძეები;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. №312, ბინა №4 (საკადასტრო კოდი: 05.35.27.077.01.004).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 25807,60 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 20 ოქტომბერი, 13:00 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ლოტი №6

უძრავი ნივთის მესაკუთრე: როლანდ გოგიტიძე (პ/ნ 61006050915), ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალისოფელი;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალისოფელი (საკადასტრო კოდი: 22.29.03.042).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 18068,75 ლარი.

აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 20 ოქტომბერი, 13:15 საათი;

აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

1. **მოვალეები:** შპს „ნბრ ბალავარი“ (ს/კ 245625006), ბათუმი, პუშკინის 116;
   რომან თურმანიძე (პ/ნ 61008002681), ქედა, სოფელი მერისი;
   ბადრი დოლიძეს (პ/ნ 61004012996), ქობულეთი, სოფელი ქაქუთი;
   თამილა დევაძე (პ/ნ 61002019196), ბათუმი, პუშკინის ქ. №35, ბინა №54ა.

2. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

3. აუქციონის პირობები:
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შემენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 20 ოქტომბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

თავდამსხმელი მილიონერი აღმოჩნდა



ლას-ვეგასში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეძრა. 64 წლის სტივენ პედოკმა „ქანთრი“ მუსიკის ფესტივალზე 59-ადამიანი მოკლა და 600-მდე დაჭრა.

ამ ბოროტების ავტორი, როგორც აღმოჩნდა, მატერიალურ კეთილდღეობას არ უჩიოდა. „იგი მილიონერია, საკმაოდ დიდი კაპიტალი დააგროვა უძრავი ქონების ბიზნესში. ის ისე ცხოვრობდა, რომ ვერასდროს ვიფიქრებდი ასეთ სისასტიკეს თუ ჩაიდენდა“, აცხადებს ბოროტმოქმედის ძმა.

ფაქტია, რომ დალხენილმა ცხოვრებამ მკვლელს ხელი ვერ შეუშალა, ასეთი სასტიკი დანაშაული ჩაედინა და ასობით ადამიანისთვის ცეცხლი გაეხსნა.

იტალიის ქალაქებში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

როგორც იტალიურ გამოცემა il Giunco იტყობინება, მასიში, გრეოსტოსა და ფლორენციაში საპატრულო პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდების დროს საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.

ერთ-ერთი მათგანი 1991 წელს დაბადებული მამაკაცია, რომელიც სატვირთო ავტომობილს მართავდა. მას თან ყალბი მართვის მოწმობა აღმოაჩნდა. კიდევ ერთი ყალბი დოკუმენტი პოტრემოლის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს. ამ შემთხვევაშიც დამნაშავე საქართველოს მოქალაქე იყო, რომელიც სარდინიაში დარეგისტრირებული სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლად იყო გაფორმებული. ამ შემთხვევაში, საპატრულო პოლიციამ ფალსიფიცირებული დოკუმენტის გამოვლენა მხოლოდ ულტრაიისფერი სხივებით შემოწმების შემდეგ შეძლო.

აღნიშნულ პირს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფალსიფიკაცია დასდეს ბრალად. დამნაშავეს 5000 ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა მოუწევს.

ფრანგი მწერალი საკუთარი თხოვნით მოკლეს?..

ფრანგი მწერალი ენ ბერტი, რომელიც უკურნებელი სენით იყო დაავადებული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითხოვდა ევთანაზიის ჩატარებას, თუმცა საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრო ამის ნებართვას არ აძლევდა. ჯერ-ჯერობით საფრანგეთში ევთანაზია კანონით აკრძალულია.

„მე ვერ ვგრძნობ ხელ-ფეხს, არ შემიძლია მუშაობა და საკუთარი ხელით ჭამა, ვცხოვრობ როგორც ცხოველი“, – აცხადებდა 59 წლის მწერალი ქალბატონი, რომელიც თავის ქვეყანაში ევთანაზიის ლეგალიზებას ითხოვდა.

საბოლოოდ მას სიცოცხლესთან გამომშიდობება სხვა ქვეყანაში მოუწია, სასიკვდილო ინიექცია მას ბელგიის ერთ-ერთ კლინიკაში ჩაუტარდა.

ენ ბერტი განსაკუთრებით ცნობილი 2009 წლიდან გახდა. კრიტიკოსები მის პროზას „ეროტიკულს“ უწოდებდნენ.

საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრო მას სიცოცხლეში შეჰპირდა, რომ ევთანაზიის საკითხს აქტუალურად განიხილავდა.

ვივიენ ვესტვუდი დაბანის წინააღმდეგ?!

ცნობილი ბრიტანელი დიზაინერი ვივიენ ვესტვუდი ცოტათი შოკისმომგვრელ განცხადებას ავრცელებს.

ქალბატონი აცხადებს, რომ მისი ახალგაზრდობის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ იგი კვირაში ერთხელ ბანაობს. მსოფლიო მოდის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი თვლის, რომ ხშირი ბანაობა ორგანიზმს აბერებს.

მისი მეუღლე, ავსტრალიერი დიზაინერი ანდრეას კრონტალერი კი მასზე უფრო რადიკალურია ამ საკითხში და იგი საერთოდ თვეში ერთხელ ბანაობს.

რამდენად დამაჯერებელია ეს ყოველივე ამ საოცარი ქალბატონისგან, რომელიც მსოფლიოს მოდას კარნახობს, არ ვიცი... აი, საქართველოში კი, მგონი, ბევრი მიმდევარი ჰყავს.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

სასარგებლო საჩუქრები

გუშინ ჯონმა დაბადების დღე გადაიხადა, დღეს კი მეზობლის ბიჭმა ჰკითხა:

— რა მოგართვეს დაბადების დღეზე?

— იგივე, რითაც ყოველწლიურად მასაჩუქრებენ.

— რა არის, რა საჩუქარია ეგეთი?

— ბურთი და შურდული.

— ვინ არის, ვისაც ყოველთვის ერთი და იგივე მოაქვს?

— ვინ არის და მამაჩემი.

— რა ხელობის კაცია მამაშენი.

— მეშუშეა, — მიუგო ჯონმა.

დეზერტირი

მეორე მსოფლიო ომია. ჰიტლერელმა ოფიცერმა ღამის შეტევისთვის წამოშალა თავისი ნაწილი. ერთმა შიშისგან თავზარდაცემულმა ჯარისკაცმა იარაღი დაყარა და ეგრევე მოკურცხლა უკან. რამდენი ირბინა, აღარ ახსოვდა. მოულოდნელად მავან ოფიცერს გადააწყდა. გაჩერდა, მხედრულად მიესალმა და რის ვაივაგლახით წაილუღლუღა:

— ნება მომეცით, ბატონო პორუჩიკო, მოგახსენოთ...

— არა, მე პორუჩიკი არა ვარ.

— მაპატიეთ, ბატონო კაპიტანო!

— არა, არც კაპიტანი არა ვარ.

— ბოდიშს მოგიხდით, ბატონო პოლკოვნიკო!

— არა, მე პოლკოვნიკი არა, გენერალი ვარ!

— ღმერთო, შენ მიშველე? — შეჰყვირა ჯარისკაცმა. — რა ღრმად შევსულვარ ზურგში...

ზიარი თავაზიანობა

ღამის ორ საათზე ტელეფონმა დარეკა. მამაკაცის ხმამ თავაზიანად იკითხა.

— უნდა მაპატიოთ, თუ შეგაწუხეთ, მაგრამ თქვენს სახლში ხუთი კოვალსკი ცხოვრობს, მე კი იმ კოვალსკის ვურეკავ, ლამაზი ქალიშვილი რომ ჰყავს.

— არა, ახალგაზრდავ, — მიუგო კოვალსკიმ, — სამწუხაროდ, მე ის კოვალსკი ვარ, ვინც ერთი წუთის წინ ძლივს რომ ჩავიძინე...

გამოცდა

სამედიცინო ფაკულტეტზე გამოცდაა. პროფესორი ეკითხება სტუდენტს:

— ამ წამლის რა დოზას მისცემდით ავადმყოფს?

— ერთ სუფრის კოვზს, — მიუგო სტუდენტმა.

— გმადლობთ, თავისუფალი ხართ.

სტუდენტი გადის, მაგრამ კიბეზე ჩასვლისას მიხვდა, რომ შეცდა. სწრაფად მიბრუნდა აუდიტორიაში და გამომცდელს მიმართა:

— ბოდიშს ვიხდი, შევცდი. ის წამალი მხოლოდ ხუთი წვეთი უნდა მიმეცა ავადმყოფისთვის.

— ვაი, რომ დააგვიანეთ, — ამოიოხრა პროფესორმა. — თქვენი პაციენტი უკვე საიქიოშია...



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4764; ევრო - 2.9075;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2941;
100 რუბლი - 4.2743; თურქული ლირა - 0.6922;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4558;
1000 სომხური დრამი - 5.1862.

ამინდი 4 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge